პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

მეხუთე წელიწადი

კომუნისტი

ცენტრალურ და თბილისის კომიტეტის
[illegible]
ცაკის ორგანო

რედაქცია
ტფილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთაველის პრ. № 24.
ტელეფონი 10—49.

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 9-დან 10 საათამდე

ტელეფონი { 14—76. რედაქტორის. 10—58. მდივნის.

წლის მოწერის თვიური ფასი: ქალაქში—1 მან. 30 კ. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის—1 მან. 40 კ. კოლექტ. ხელის მოწ. 80 კ.; ქალაქს გარეშე მცხოვრ. ათვის 90 კაპ. განცხადება 20 კ. ნონპარეილის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 5 მან. ჩვრ. განცხადებები მეორე ნომერში მიიღება მხოლოდ 2 ათ.

№ 95 (950) შაბათი, 26 აპრილი 1924 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. (925 მილ.) № 95 (945)

დღეს

ახალ-ზელანდიაში რკინისგზელებმა გამოაცხადეს საერთო გაფიცვა.

ახლო ხანში ამერიკის კაპიტალი დაიწყებს რეინ-დუნაის არხის გაყვანას.

მოელიან ახალ ხმათა კავშირის შექმნას, იტალიის, იუგოსლავიის და ჩეხო-სლოვაკიის მონაწილეობით.

პოლონეთში აღმოაჩინეს [illegible] რომლებიც ამბოხებისათვის ემზადებოდნენ.

გერმანიაში ნავთსადგურების მუშებმა გამოაცხადეს გაფიცვა.

თანახმად ს. კ. პ. ც. კ. პლენუმის დადგენილებისა,

საქართველოს კომპარტიის მესამე ყრილობა

მოწვეული იქნება

ამა წლის 5 მაისს

ყრილობის დღის წესრიგისთვის განზრახულია შემდეგი საკითხები:

1. ც. კ. ანგარიში.
2. სარევიზიო კომისიის ანგარიში.
3. ც. ს. კ. ანგარიში.
4. ნაციონალური პოლიტიკის შედეგები ერთი წლის განმავლობაში.
5. პარტიის სამეურნეო ამოცანები (ვაჭრობისა და სოფლის მეურნეობის აღორძინება)
6. შინა ვაჭრობა და მომხმარებელი კოოპერაცია.
7. სასოფლო სამეურნეო კოოპერაცია.
8. შინა პარტიული მდგომარეობა და პარტ. აღმშენებლობის საკითხები
9. ახალგაზრდათა შორის მუშაობის შესახებ.
10. მიმდინარე საკითხები.

წარმომადგენლობის ნორმა ყრილობაზე: 1 დელეგატი გადამწყვეტი ხმით პარტიის 100 წევრსა და კანდიდატებზე.

ს. კ. პ. ც. კ.-ის მდივანი: მ. კახიანი.

ორშაბათს ა. წ. 28 აპრილს საღამოს 6 საათზე ხალხთა სახლში (ყოფ. ზუბალაშვილის სახ.)

დანიშნულია საბჭოს პლენუმის სხდომა

დღის წესრიგი:

1) პროფესორ ლუროვსკის მოხსენება ვალიუტის ბრუნვის შესახ. 2) აღმასკომის 1924 წლის ბიუჯეტის დამტკიცება. 3) მიმდინარე საკითხები.

საბჭოს ყველა წევრებისათვის და კანდიდატებისათვის დასწრება სავალდებულოა.

2—1 ნ. 1073

პრეზიდიუმი

საგლეხო მომგებიანი სესხი

საბჭოთა ფინანსების გაჯანსაღების საქმეში შინაური სესხის ღებას დიდი მნიშვნელობა აქვს.

ნორმალური სახელმწიფო ბიუჯეტის შექმნა ქაღალდის ფულის ემისიით შეუძლებელია. ჩვენ საკმაოთ მწარე გამოცდილება გვაქვს ამ სფეროში. ქაღალდის ფულის ფასების დაცემა სწორედ იმისი შედეგი იყო, რომ საბიუჯეტო დეფიციტის შესავსებათ იძულებული ვიყავით—ვინაიდან სხვა საშუალება არ იყო—აგვეტრიალებინა ფულის საბეჭდი მანქანა. შედეგი ვიცით.

ამნაირათ სალი ბიუჯეტი უნდა ემყარებოდეს სახელმწიფო შემოსავლებს. მაგრამ ვინაიდან დღიდღეობით ძნელია მიღწევა იმ მდგომარეობის, რომ შემოსავლებმა დეფიციტი სრულიად გადაფაროს, იძულებული ვხდებით მივმართოთ სხვა ზომას და არა ტრადიციულ ყაიდად ბეჭდვით ემისიას. ერთი ასეთი საშუალება არის სესხი. და ვინაიდან გარედან ასეთ სესხს არ იძლევა ბურჟუაზია ან და იძლევა ჩვენთვის მიუღებელ პირობებზე, რომლებიც გულისხმობენ საბჭოთა კავშირის დამონებას და მის გადაქცევას კოლონიათ—ამიტომ საჭიროა დავეყრდნოთ შინაურ რესურსებს და შინაურ შესაძლებლობას, ავიღოთ ასეთი სესხი შიგნით, ჩვენშივე საბჭოთა კავშირში. ჩვენ უკვე გვაქვს რამოდენიმე მაგალითი, გამოცდილება ამ მხრივ და დღესაც სახელმწიფო მიმართავს ამ ზომას. ჩვენ, ვლაპარაკობთ საგლეხო მომგებიან სესხზე.

საგლეხო სესხი გამოცემულია 50 მილიონი მანეთის რაოდენობით და შეიცავს მანეთიან, სამ მანეთიან და ხუთ მანეთიან ობლიგაციებს. და ვინაიდან სესხი უნდა მოთავსდეს გლეხობაში, ამიტომ უმეტესი ნაწილი ობლიგაციებისა არის მანეთისა და სამი მანეთის ღირებულების. სახელდობრ მანეთიანი ობლიგაციები გამოცემულია სულ შვიდ მილიონ ნახევარი, სამ მანეთიანი—10 მილიონი, ხუთ მანეთიანი—ორი მილიონ ნახევარი. სულ მანეთიანი და სამ მანეთიანი ობლიგაციები გამოცემულია 37 მილ. ნახევარი ოქროს მანეთის ღირებულების და დანარჩენი 12 მილ. ნახევარი არის ხუთმანეთიანი ობლიგაციები.

შეუძლია თუ არა გლეხობას შეიძინოს ამ სესხის ქაღალდები, ობლიგაციები და რატომ არის ის დაინტერესებული ამაში?

უკანასკნელი ორი წლის სამეურნეო განვითარება აძლევს გლეხს საშუალებას გადაარჩინოს თავის ყოველდღიურ საჭიროებას ფული და დააგროვოს ის თავის მეურნეობის თუ სხვა რაიმე საჭიროებისათვის. მტკიცე ფასიანი ფულის შემოსვლა ბაზრებზე შესაძლებლათ ხდის შენახოს მან ზედმეტი თანხა და ამავე დროს შიში არ ჰქონდეს გულში, რომ ის ფასს დაკარგავს, როგორც ეს იყო ადრე. მაგრამ უაზრობა იქნებოდა მეურნისათვის ფულის შენახვა ისე, რომ მან რაიმე სარგებელი არ ნახოს ამასთან ერთად. საგლეხო სესხი აძლევს მას ამის საშუალებას და ბევრი მხრივ არის მისთვის სასარგებლო ამ სესხის ობლიგაციების შეძენა. რაში მდგომარეობს ეს უპირატესობა?

პირველი იმაში, რომ მანეთიან ობლიგაციას სახელმწიფო აძლევს გლეხს 85 კაპიკათ. ხოლო სარგებელს (ექვს კაპიკს მანეთზე წლიურათ) ის იღებს ერთი მთელი მანეთიდან და არა 85 კაპიკიდან. გამოდის ისე, რომ ფაქტიურათ ობლიგაციის პატრონი გლეხი სარგებელს იღებს 21 კაპიკს წლიურათ თითო მანეთზე, თუ ეს ობლიგაცია ხელზე დარჩა მას ერთი წლის განმავლობაში.

მეორე—იმაში, რომ გადასახადი გლეხს შეუძლია გადაიხადოს ამ ობლიგაციით და სახელმწიფო მიიღებს მას არა იმ ფასით, რომლადაც იყიდა გლეხმა (ე. ი. 85 კ.), არამედ ერთი მანეთის ღირებულებით ე. ი. ობლიგაციის ნომინალური ფასით. აქეც თითო მანეთზე გლეხი იგებს სამ შაურს.

მესამე—იმაში, რომ თუ გლეხს დასჭირდა ფული და არ სურს გაანაღდოს ობლიგაცია ჩვეულებრივ ფულათ,—შეუძლია, ამ შემთხვევაში დააგირაოს მან ობლიგაციები და მიიღოს ამნაირათ გირაო, მაგრამ, როგორც გირაო, რასაკვირველია, უფრო ნაკლები ვიდრე ღირს ობლიგაცია მას შეუძლია ამ შემთხვევაში მიიღოს 75 კაპიკი მანეთზე. ამნაირათ გირაოს დაბრუნების შემდეგ ის კვლავ ფაქტიურათ საკუთრებს მაგ სასოფლო სამეურნეო ბანკში დროებით დაგირავებულ ობლიგაციებს.

მაგრამ არის კიდევ ერთი დიდი უპირატესობა ამ სესხის. და ის მდგომარეობს—მეოთხე—იმაში, რომ ეს არის მომგებიანი სესხი. ეს იმას ნიშნავს, რომ მთლად გამოშვებულ 20 მილიონი ობლიგაციიდან მომგებიანია ას სამოცდა ჩვიდმეტი ათასი ობლიგაცია. მოგება არის ერთი მანეთიდან 1000 მანეთამდე და ობლიგაციის თითო პატრონს შეუძლია მოიგოს ტირაჟების („კენჭ ყრის") დროს ხუთიდან ათას ხუთამდე. და ეს გარდა იმ სარგებლობისა, რომელიც აქვს ამ ობლიგაციებს და რომლებზეც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი.

ამნაირად ჩვენ ვხედავთ, რომ ეს სესხი ყოველ მხრივ ხელსაყრელი გლეხობისათვის ამიტომ უნდა შეიძინოს მან ამ სესხის ობლიგაციები. ამითვე ჩვენი გლეხობა ამაგრებს საბჭოთა ხელისუფლების ფინანსიურ მდგომარეობას, ვინაიდან ხაზინაში შედის 50 მილ. ოქროს მანეთი და ფულის დაშლილი ემისია, დამღუპველი სახელმწიფოსთვის და მშრომელი მასებისთვის მათ შორის ჩვენ გლეხობისთვისაც, ეს ემისია აღარ ხდება საჭირო სხვა ამგვარი ღონისძიების გამო.

რას ნიშნავს ეს, რომ ჩვენი სახელმწიფო ბიუჯეტის წონასწორობის დაუყოვნებლივ, შინაური სესხით აღებულ და სახელმწიფო დამატებებს რეგულარულ შემოსავალს ამ გზით უმაგრებს თავის ფინანსებს, ხოლო ეს კი არის აუცილებელი პირობაა მეურნეობის განვითარებისა და მუშურ-გლეხური რეჟიმის განმტკიცებისათვის.

რუსეთში ამ სესხის ობლიგაციები პირდაპირ დაიტაცეს გლეხებმა. ამ დღეებში მათ ღებს საკავშირო ბანკის თბილისის ცენტრი და დაურიგებს პროვინციას. ამის შესახებ ჩვენ გაზეთში იქნება დღეს საუკეთესო ცნობა. ჩვენი ამხანაგების პარტ-და პროფორგანიზაციების მოვალეობაა მთელი ენერგიით ხელი შეუწყონ ამ სესხის იდეის ახსნა-განმარტებას ჩვენ გლეხობაში და ობლიგაციების გავრცელების საქმეს. და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ამ სესხზე ხელისმოწერის საქმე ისეთივე წარმატებით იწარმოებს ჩვენში როგორც კავშირის სხვა ძმურ რესპუბლიკებში.

კოოპერაცია და სახელმწიფოებრივი ვაჭრობა

4. ტრესტების და სინდიკატების განყოფილებანი

ჩვენი კოოპერაციისთვის მწვავე საკითხს წარმოადგენს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში ისეთი ორგანიზაციების პარალელური არსებობა, რომელთა ფუნქციების შესრულებაც შეუძლიათ კოოპერატივთა ცენტრალურ კავშირებს. ამ შემთხვევაში ჩვენ გვაინტერესებს ფართო მოსახმარი პროდუქტები: მარილი, ნავთი, შაქარი, წუმწუმა და ფართლეული. პირველ სამი საგნის შესახებ საკითხი ისე მწვავედ არა სდგას, როგორც ფართლეულის საკითხი. საქმე იმაში მდგომარეობს, რომ ეს პროდუქტები ნაწილდება თითქმის განსაკუთრებით კოოპერაციის საშუალებით. უკვე დადებულია გენერალური ხელშეკრულება მარილის, წუმწუმის და შაქრის გასაღების შესახებ კოოპერატიულ ორგანიზაციების საშუალებით. ნავთსაც კოოპერაციის ორგანოები ანაწილებენ.

სულ სხვანაირად არის ფართლეულის განაწილების საქმე. საფეიქრო სინდიკატის განყოფილებას საწყობები აქვს ტფილისში, ბათომში, ქუთაისში. თბილისში მთელი საქონლის 80 პროცენტს კოოპერაციის საშუალებით ასაღებს. რჩება სულ 20 პროც. განა ამ ოცის პროცენტისათვის ღირს სპეციალური ორგანიზაციის შენახვა?

საფეიქრო სინდიკატისთვის არავითარი აზრი არ აქვს, რომ ფართლეული კერძო პირთ მისცეს, რაკი კოოპერაციას შეუძლიან მთელის ფართლეულის განაწილება იდვას თავზე. ზოგიერთი ამხანაგი შიშობს, ვაი თუ კოოპერაციაზე მთელი ფართლეულის განაწილების გადაცემით კოოპერაცია მონოპოლისტად გადაიქცეს ბაზარზე. ჩემის აზრით ჩვენ სწორედ ამისი არ უნდა გვეშინოდეს, თუ სერიოზულად გვსურს ხელი მოვკიდოთ კერძო კაპიტალის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეს. მაგრამ ეს არ მოხდება, ვინაიდან ფართლეული ამიერ-კავკასიაში საფეიქრო სინდიკატის გარეშეც შემოდის და ბოლოს საფეიქრო სინდიკატის ახლანდელ წარმომადგენლებს ცენტრალური გამგეობისაგან ინსტრუქციები აქვთ, რომლითაც უნდა იხელმძღვანელონ საქონლის განაწილების დროს. რატომ არ შეიძლება დაევალოს კოოპერატივთა ცენტრებს, რომ ამ ინსტრუქციებით იხელმძღვანელონ ფართლეულის განაწილების დროს? თუ კოოპერაცია ანაწილებს შაქარს, ნავთს, მარილს, წუმწუმას და სხვას, რატომღა ვერ შეძლებს ფართლეულის გასაღებას ცენტრის დავალებით?

ამხანაგთა ყურადღება აქ უნდა მივაქციოთ საქმის მეორე მხარეს, სახელდობრ იმ პარალელიზმს მუშაობაში, რომელსაც არავითარი სარგებლობა არ მოაქვს, 3 რიგით ქალაქის მრეწველობის პროდუქტს აძვირებს. საფეიქრო სინდიკატის აპარატი არსებობს, ვსთქვათ საქართველოში, იმიტომ, რომ გაასაღოს ფართლეული. ასეთივე აპარატი აქვს კოოპერატივთა კავშირსაც. თანამშრომელთა შტატი იქაც არის, აქაც. საწყობის შენახვა ხარჯს იღებს როგორც ერთი, ისე მეორე. ეს ორმაგი ხარჯები ზედმეტ ტვირთად აწვება მომხმარებლებს—მუშებს და გლეხებს—ვისთვის არის საჭირო ყველა ეს?

უმჯობესი ორი აპარატის ნაცვლად გქონდეთ ერთი აპარატი, კარგად მოეწყოს იგი და თვალყური ვადევნოთ, რათა მტკიცედ შეასრულოს ყველა დაკისრებული ვალდებულება.

სატრესტო ფასებს საფეიქრო სინდიკატის განყოფილება 6 პროც. უმატებს. ეს 6 პროც. შესდგება ნაწილებისაგან: ფრახტი თბილისამდე—2,5 პროც. თვით განყოფილების საორგანიზაციო ხარჯები 3,5 პროც. სულ 6 პროც. ამრიგად პრეისკურანტის ფასებს სინდიკატის განყოფილება უმატებს 6 პროც. მაგრამ საქონელი ხომ ვინმემ უნდა მიიტანოს სოფლამდე: აქ კიდევ სხვა ხარჯებია ფრახტი და სხვა ხარჯები სოფლამდე—2 პროც. საორგანიზაციო ხარჯები—5 პროც. მოგება—2 პროც. სულ 9 პროც.

ამრიგად მომხმარებელი იღებს ფართლეულს, რომელსაც დამატებული აქვს 9 და 6 პროცენტი—სულ 15 პროც.

როგორი და იქნებოდა შემდეგი კოოპერატივთა კავშირის უშუალო დამოკიდებულებისა საკავშირო მრეწველობის ცენტრთან—მოსკოვთან? მაშინ შემდეგი ხარჯები და დარიცხვები: ფრახტი თბილისამდე—2,5 პროც. ფრახტი და სხვა ხარჯები სოფლამდე—2 პროც. ცეკავშირის საორგანიზაციო ხარჯები—2,5 პროც. (საფეიქრო სინდიკატის 3,5 პროც. ნაცვლად), სოფლის კოოპერატივთა საორგანიზაციო ხარჯები—5 პროც. და მოგება—2 პროც. სულ 14 პროც.

საფეიქრო სინდიკატის განყოფილება სცდილობს გვერდი აუაროს კოოპერაციის ცენტრს და ფართლეული მისცეს ძირითად კოოპერატივებს უშუალოდ, კავშირის გარეშე. შე. სატრესტო ფასებზე 15 პროცენტის შეკვეცაზე ხელის აღება მას მაინც არ შეუძლიან. როგორც ვხედავთ, ძირითად კოოპერატივებთან უშუალო კავშირის დამყარებით განყოფილების აპარატის არსებობის დროს საქონლის ფასი დიდდება 1 პროცენტით. მაგრამ უბედურება აქ არ არის. სოფლის კოოპერატივთა წარმომადგენელნი იძულებულნი არიან ტფილისში ჩამოვიდნენ საქონლის მისაღებად თიანეთიდან, დუშეთიდან, ბორჯომიდან, ახალქალაქიდან და სხვა, უნდა ხარჯონ ცენტრში ფული: საგზაო, დღიური, საქონლის წასაღები წვრილ პარტიობით, რაც ბოლოს და ბოლოს ფართლეულის ფასს რამდენიმე პროცენტით ადიდებს.

ამას გარდა საფეიქრო სინდიკატი საქონლის ნისიად გაცემის დროს ძირითად კოოპერატივებს ვექსილს ართმევს, ამასთან თხოულობს კოოპერატივთა კავშირის ხელის მოწერას. ხელის მოწერაზე, ცნობების შეკრებაზე ამა თუ იმ კოოპერატივის მდგომარეობის შესახებ დრო გადის, რაც თავის მხრივ კიდევ ადიდებს ზედნადებ ხარჯებს.

ცხადია, რომ ძირითად კოოპერატივებთან ასეთის უშუალო კავშირის წყალობით მომხმარებელი მეტს ჰკარგავს, ვიდრე დაჰკარგავდა იმ დროს, რომ ფართლეულს ანაწილებდეს კოოპერატივთა კავშირი, რომელიც ამ საქონელს რაიონებში დიდის პარტიობით გაგზავნიდა და ზედმეტს ხარჯს აიცდენდა.

ამ გარემოებას სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს.

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ცენტრებში ტრესტების და სინდიკატების კანტორების არსებობის საკითხი სასწრაფოდ გადასინჯულ უნდა იქნას. ამ საკითხის გადაჭრას საფუძვლად უნდა დაედოს კოოპერატივთა ცენტრების უშუალო კავშირის საჭიროება მოსკოვთან.

და კიდეც რომ წარმოვიდგინოთ, რომ ეს კანტორები დარჩება, მათი უშუალო კავშირი ძირითად კოოპერატივებთან უარყოფილ უნდა იქნას, როგორც მუშაობის ყოვლად უვარგისი სისტემა, რომელიც კოოპერაციის მშენებლობის გეგმას არღვევს და ზედნადებ ხარჯებს ადიდებს.

მხედველობაშია მისაღები, რომ როდესაც კოოპერატივებს უშუალოდ ეძლევათ საქონელი, კოოპერაციის ცენტრს შესაძლებლობა არ აქვს თვალყური ადევნოს ქალაქის მრეწველობის პროდუქტების სოფლად განაწილების წესებს, აგრეთვე იმას, თუ რამდენად მტკიცედ ასრულებენ მთავრობის დადგენილებებს ფასების დაკლების შესახებ. ერთის სიტყვით ასეთს პირობებში კოოპერატივთა მოღვაწეობის პასუხისმგებლობას კავშირი ვერ იკისრებს. კოოპერატივებში გამეფდება მევახშეობა და, მაშასადამე, შეიქმნება პირობები კოოპერაციის დაშლისათვის.*)

აი ამიტომ ლოზუნგი „ძირითადი კოოპერატივი უშუალო კავშირი ტრესტთან" სრულიად არ შეეფერება ჩვენს სინამდვილეს. ეს გასაგებიც არი. არ უნდა დავივიწყოთ, რომ თბილისი და, მაშასადამე, მთელი საქართველოც საკავშირო მრეწველობის ცენტრის მიმართ სოფელს წარმოადგენს. დაე ამ სოფელმა თავისი ერთის წარმომადგენლის „ცეკავშირის" სახით დაიჭიროს უშუალო კავშირი მოსკოვთან.

არის კიდევ ერთი, პრინციპიალური თვისების მოსაზრება, რომელიც მიმართულია ამ ლოზუნგის წინააღმდეგ. ეს ის არი, რომ შეუძლებელია კოოპერატივებში შეკავშირებული მომხმარებლები, რომელთა უმრავლესობაც ამასთანავე მწარმოებელია და მათი სურვილები დაუპირდაპიროთ წარმოებას ტრესტების და სინდიკატების სახით. რაიმე ორგანო, რომელიც მოაწესრიგებს ურთიერთობას ტრესტებსა და ძირითად სასოფლო უჯრედებს შორის, უნდა არსებობდეს. ასეთ ორგანოს წარმოადგენს კავშირი, სადაც კოოპერატივები წევრად შედიან. ამ კავშირის გვერდის ახვევა ნიშნავს კოოპერაციის მშენებლობის მთელის სისტემის გვერდის ახვევას.

ყველა ამ მოსაზრების გამო საჭიროა, რომ კოოპერატივთა რესპუბლიკანური კავშირები უშუალოდ დაკავშირებულნი იქმნენ მრეწველობის ცენტრთან.

ა. ერქომაიშვილი.

---

*) ჩვენი აზრით ამხ. ერქომაიშვილი ძალიან აზვიადებს უარყოფით შედეგებს უშუალო ურთიერთდამოკიდებულებისას ტრესტის განყოფილებისა და ძირითად კოოპერატივებს შორის.

რედ.

რადიო-დეპეშები

(„ზაკროსტა"-ს ცნობები)

განახლდა ლონდონის კონფერენციის მუშაობა

იტალიის და პოლონეთის პრესა უკმაყოფილოა ამხ. ტროცკის სიტყვით

საფრანგეთს არ მოსწონს ჩვენი პოზიცია ჩინეთის მიმართ

დაიწყო მოლაპარაკება შვეციასთან საფოსტო-სატელეგრაფო კავშირის აღდგენის შესახებ.

ლონდონის კონფერენცია

ძალიან მწვავეთ.

ლონდონი. 23 აპრ. ყველა გაზეთებმა გამოაქვეყნეს ამხ. ტროცკის მიერ ტფილისში წარმოთქმული სიტყვა და გაუკეთეს მას სასტიკი კომენტარიები.

საბჭოთა დელეგაცია საიმპერიო გამოფენაზე.

ლონდონი. 23 აპრ. საბჭოთა დელეგაციამ დაათვალიერა საიმპერიო გამოფენა. დელეგაციის განმარტებებს აძლევდა გამოფენის ხელმძღვანელი დირექტორი.

სამი კომისია.

ლონდონი. 25 აპრ. გუშინ გარეშე საქმეთა სამინისტროს შენობაში გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგის პონსონბის თავმჯდომარეობით განახლდა ინგლისის და საბჭოთა კავშირის კონფერენციის სხდომები. გასულ კვირაში დაარსებულ იმ კომისიასთან დამატებით, რომელმაც უნდა განიხილოს რუსეთის ყოფილ იმპერიასა და ინგლისს შორის დადებული ხელშეკრულებები, დაარსებულ იქნა 3 კომისია: პირველი გამოარკვევს და დაამზადებს იმ მასალებს და ციფრებს, რომლებიც შეეხება ვალების მოთხოვნილებებს, კონტრ მოთხოვნილებებს და საშუალებებს რუსეთის კრედიტის აღსადგენად დიდ-ბრიტანეთში; ეს კომისია დაარსებს ქვე-კომისიებს, რომელიც საჭირო იქნება საქმის მსვლელობის დროს. მეორე კომისია შეიმუშავებს ხელშეკრულებებს ვაჭრობის და ნაოსნობის შესახებ. მესამე გამოარკვევს საკითხს ტერიტორიალურ წყლების შესახებ და წარადგენს სათანადო მოხსენებას. დადგენილია მოწვეულ იქნეს კონფერენციის შემდეგი სხდომა იმის შემდეგ, როდესაც მოხსენებას წარმოადგენს ხელშეკრულებათა კომისია ან ერთ ერთი იმ კომისიებიდან, რომლებიც დაარსდა გუშინ.

მუშაობის განახლება.

ლონდონი. 25 აპრილი. ხანგრძლივ შესვენების შემდეგ საბჭოთა დელეგაციამ განაახლა მოსამზადებელი მუშაობა. კონფერენციის სხდომაზე 24 აპრილს შედგენილი იქნება წინასწარ სამუშაოს პროგრამა.

საბჭოთა დელეგაციამ მიიწვია კოლონიების მინისტრი თომასი ბრიტანეთის საიმპერიო გამოფენაზე იუმბლიში და შემდეგ სადილზე.

მოლაპარაკება შვეციასთან

საფოსტო კავშირის განახლებისათვის.

მოსკოვი. 25 აპრ. საბჭოთა კავშირის ფოსტა-ტელეგრაფის კომისარიატში დაიწყო შვეციის და საბჭოთა კავშირის ფოსტა-ტელეგრაფის უწყების წარმომადგენლების თათბირი საბჭოთა კავშირსა და შვეციას შორის საფოსტო სატელეგრაფო და სატელეფონო კავშირის დამყარების საკითხის განსახილველად.

ურთიერთობა ჩინეთთან

საფრანგეთის ახალი ნოტა.

პეკინი. 23 აპრილი. საფრანგეთმა გადასცა ჩინეთის მთავრობას ახალი ნოტა, რომელშიაც ადასტურებს რა წინად გამოთქმულ შეხედულებებს, გამოდის რუსეთ-ჩინეთის ბანკის ინტერესების დასაცავად აღმოსავლეთ-ჩინეთის გზის საკითხში და აცხადებს, რომ საბჭოთა კავშირი ამ შემთხვევაში წარმოადგენს მხოლოდ მესამე პირს; მხოლოდ ბანკი და მისი კრედიტორები არიან უშუალოდ დაინტერესებული ამ გზით.

საბჭოთა კავშირი—საუკეთესო მეგობარია ჩინეთის.

ლონდონი. 23 აპრილი. „ხელები შორს რუსეთისაგან" კომიტეტის გამოჩენილმა წარმომადგენლებმა ტრედიუნიონების კონგრესის წარმომადგენლებთან ერთად ინახულეს ჩინეთის საქმეთა რწმუნებული ლონდონში და გადასცეს მას მემორანდუმი, რომელშიაც თანაგრძნობას აცხადებენ ჩინეთს მის ბრძოლაში დამოუკიდებლობისათვის და უცხადებენ, რომ საბჭოთა კავშირი საუკეთესო მეგობარია ჩინეთის. წარმომადგენლები ღრმა რწმენას გამოსთქვამენ, რომ ჩინეთი არ დაემორჩილება არავის ზეგავლენას მოლაპარაკების წარმოების დროს.

ჩვენ და პოლონეთი

არ მოეწონათ.

ვარშავა. 23 აპრილი. ტროცკის მიერ ტფილისში წარმოთქმულმა სიტყვამ გამოძახილი ჰპოვა თითქმის მთელს პრესაში. ყველა გაზეთები ხაზს უსვამენ ტროცკის განცხადებას იმის შესახებ, რომ სწორი ნაციონალური პოლიტიკა ნიშნავს მეტს, ვინემ წითელი არმიის ერთი ზედმეტი კორპუსი. ლიბერალური პრესა მოითხოვს პოლონეთის პოლიტიკის გადასინჯვას ეროვნულ უმცირესობათა მიმართ.

პოლონეთ საბჭოთა კავშირის სარკინიგზო კონვენცია.

ვარშავა. 23 აპრილი. ხელმოწერილ იქნა სარკინიგზო კონვენცია საბჭოთა კავშირისა და პოლონეთს შორის.

რუმინეთი განმარტოვებული დარჩა

სამხრეთ სლავია არ თანაუგრძნობს რუმინეთს.

ვენა. 23 აპრილი. სამხრეთ სლავიის გაზეთი „ბელგრადსკიე ნოვოსტი", რომელიც ახლოს სდგას გარეშე საქმეთა სამინისტროსთან, აღნიშნავს, რომ რუმინეთის საბჭოთა კავშირთან კონფლიქტის დროს, ვერავითარ შემთხვევაში ვერ იქონიებს იმედს სამხრეთ-სლავიაზე, რომელიც უეჭველ შემთხვევაში დაიცავს ნეიტრალიტეტს. გაზეთი სწერს: „სამხრეთ-სლავიის ხალხი არ დაიწყებს ომს რუსეთის მოძმე ხალხის წინააღმდეგ, მიუხედავათ იმისა, რა შეუწყნარებლობაც არ უნდა არსებობდეს საბჭოთა კავშირში".

ბრატიანუ აღარ მიემგზავრება ლონდონში.

ვენა 24 აპრილი. რუმინეთის პრემიერის ბრატიანუს გამგზავრება ანგლიაში აღარ მოხდება.

პუანკარე ბოდიშს იხდის

პუანკარე და კიევის მოქმედების ცენტრის საქმე.

პარიზი. 23 აპრილი. გაზეთების უმრავლესობამ უკომენტარიოთ დაბეჭდა პუანკარეს უკანასკნელი დეპეშა ჩიჩერინისადმი. „იუმანიტე" სწერს: „პუანკარეს ჩარევა მოხდა სწორედ იმ დროს, როცა საფრანგეთი ახალი მტრული აქტით გამოვიდა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბესარაბიის საკითხში. პუანკარე ამტკიცებს, რომ მას არავითარი კავშირი არ ჰქონია კიევის პროცესის მონაწილეებთან, თუმცა არ უარყოფს საფრანგეთის საიდუმლო აგენტების არსებობას.

[illegible] ჩვენს საქმეებში ჩარევა!

მოსკოვი. 25 აპრილი. ჩიჩერინისადმი მიმართულ ნოტაში პუანკარე აღნიშნავს, რომ როდესაც მან გადასცა საბჭოთა მთავრობას საფრანგეთის მეცნიერთა თხოვნა რუსეთის პასუხისგებაში მიცემულ მეცნიერებისადმი ლმობიერად მოპყრობის შესახებ, საფრანგეთის მთავრობას არ ჰქონია არავითარი განზრახვა ჩარეულიყო საბჭოთა კავშირის შინაურ საქმეებში. პუანკარე მოაგონებს, რომ მან კატეგორიულად განაცხადა სენატში, რომ საფრანგეთის მთავრობა არ უნდა ჩაერიოს რუსეთის შინაურ პოლიტიკაში.

პუანკარე უარყოფს, რომ თითქოს კიევის მოქმედების ცენტრის საქმისათვის გასამართლებელი მეცნიერები იყვნენ საფრანგეთის საიდუმლო აგენტურის თანამშრომლები.

ჩეხო-სლოვაკიის სოციალ-დემოკრატების ყრილობა

ორი რეზოლუცია.

პრაღა. 23 აპრ. დამთავრდა ჩეხოსლოვაკიის სოციალ დემოკრატების ყრილობა. მუშების დელეგატები სასტიკად აკრიტიკებდენ პარტიის დღევანდელ ბურჟუაზიულ პოლიტიკას და ხაზს უსვამდენ პარტიულ პრესის ბურჟუაზიულ ხასიათს. ყრილობის მნიშვნელოვანი ნაწილი, კერძოთ ცენტრების მუშათა დელეგატები, ესადმებოდნენ ოპოზიციის გამოსვლას. ყრილობამ მაინც მიიღო რეზოლუცია, რომელიც იწონებს პარტიის პოლიტიკურ ხაზს და ხაზს უსვამს იმ დაბრკოლებებს, რომლებიც არსებობს ჩეხო სლოვაკიის და სხვა ეროვნებათა სოციალ-დემოკრატიის დაახლოების გზაზე და აგრეთვე აღნიშნავს, რომ შეუძლებელია კომუნისტებთან თანამშრომლობა როგორც პარლამენტში, ისე მის გარეთ.

მეორე რეზოლუცია მოითხოვს ნორმალურ ეკონომიურ ურთიერთობის დამყარებას საბჭოთა კავშირთან და საბჭოთა მთავრობის „იურიდიულად" ცნობას, მაგრამ მოითხოვს „საბჭოთა მთავრობის არ ჩარევას უცხო სახელმწიფოების შინაურ საქმეებში".

მენშევიკებს ეშინიათ კომუნისტების

პრაღა. 23 აპრ. გერმანელი სოციალ-დემოკრატების ცენტრალური ორგანო სწერს: კომპარტიის ზრდა შიშს გვრის კოალიციონურ წრეებს. ის იმედი, რომ ჩეხეთის სოციალ დემოკრატია შესძლებს ფართო მასების გულის მოგებას, არ გამართლდა. სოც.-დემ. გავლენა მუშათა მასებზე დღე და დღე სუსტდება. ბურჟუაზიას კომპარტიის გავლენის გაძლიერების ეშინია და ემზადება კომუნისტების შესავიწროვებლად კლერიკალური გაზეთები აშკარად მოითხოვენ კომპარტიის დაშლას.

მდგომარეობა გერმანიაში

შეთანხმება პუანკარესა და ბარტუს შორის.

პარიზი, 23 აპრილი. ხანგრძლივი თათბირის შემდეგ პუანკარესა და სარეპარაციო კომისიის თავმჯდომარეს ბარტუს შორის მიღწეულ იქნა შეთანხმება ექსპერტთა კომისიის პროექტის განხორციელების საკითხში. პუანკარეს წინადადების თანახმად, სარეპარაციო კომისია დაავალებს სპეციალისტებს დაწვრილებით შეისწავლონ ექსპერტთა მოხსენება. სარეპარაციო კომისია შეადგენს სარეპარაციო საკითხის გადაჭრის საბოლოო გეგმას მხოლოდ იმის შემდეგ, როდესაც გერმანიის მთავრობა წარადგენს მის მიერ შემუშავებულ კანონ-პროექტებს ექსპერტთა პროექტის განსახორციელებლად.

ექსპერტთა პროექტის წინააღმდეგ.

ბერლინი, 23 აპრილი. ნაციონალურ და სახალხო პარტიებს შორის ადგილი აქვს ძლიერ მოძრაობას ექსპერტების პროექტის მიღების წინააღმდეგ.

შიში ძალების გამარჯვების.

ბერლინი, 23 აპრილი. „როტე-ფანე"-ს ცნობით მოსალოდნელია ყოველგან კომუნისტური გაზეთების აკრძალვა საარჩევნო კამპანიის ორი უკანასკნელი კვირის განმავლობაში. გაზეთის ცნობით, ამ საკითხში მიღწეულია შეთანხმება გერმანიის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის კომისარს კიუნცერსა და პრუსიის შინაგან საქმეთა მინისტრს—სოციალ-დემოკრატ ზევერინგს შორის.

გელფერიხის დაღუპვა.

ბერლინი, 23 აპრილი. რკინის გზაზე მომხდარ კატასტროფის გამო, რომელსაც ადგილი ჰქონდა ბელინცონში (შვეიცარია), დაიღუპა ნაციონალისტების ლიდერი გელფერიხი.

გერმანიის სესხი.

ბერლინი. 25 აპრილი. შინაგან საქმეთა მინისტრის იარესის განცხადებით, რომელიც მან გააკეთა შტეტინში, გერმანიისათვის საერთაშორისო სესხის მიცემის საქმე კარგად მიდის. ამერიკა დაფარავს 400 მილ. ხოლო ინგლისი 300 მილ. ოქროს მარკას.

პოლიცია ჩაერია.

ბერლინი. 25 აპრილი. დორტმუნდში მიტინგში ჩაერია პოლიცია, რომელმაც იარაღს მიმართა.

დანაკლისი ნაციონალისტების ფრონტზე.

ბერლინი. 25 აპრილი. გერმანიის გაზეთები ნეკროლოგებს უძღვნიან შვეიცარიის რკინის გზაზე მომხდარ კატასტროფის დროს დაღუპულ გელფერიხს და აღნიშნავენ, რომ ნაციონალისტებმა ამ უკანასკნელ დღეებში დაჰკარგეს ორი გამოჩენილი ბელადი—სტინესი და გელფერიხი. პარიზის „ეკო ნაციონალ" აღნიშნავს, რომ მარქსის კაბინეტმა გელფერიხის სახით დაჰკარგა ერთი ყველაზე უფრო საშიში მოწინააღმდეგეთაგანი.

სხვადასხვა ამბები

(„ზაკროსტა"-ს მასალებიდან)

● **ინგლისის მაგალითების მიხედვით.** ბუდაპეშტში უნგრეთის სოც.-დემოკრატიული პარტიის ყრილობაზე აღმოაჩინეს 30 პოლიციელი-ჯაშუში. ისინი გარედ გაიყვანეს ძალით.

● **კანადის კომპარტია.** კანადის მუშათა პარტიის წლიურმა ყრილობამ დაადგინა პარტიას უწოდოს „კანადის კომუნისტური პარტია".

● **ახალი პარტია იაპონიაში.** იაპონიის მელითონეთა წლიურმა ყრილობამ დაადგინა დაარსოს პროლეტარული ახალი პარტია, რომლის წევრებს აკრძალული აქვთ ოფიციალური თანამდებობის დაჭერა ბურჟუაზიულ მთავრობაში.

● **საფრანგეთის ზარალი სირიაში.** გაზ. „იუმანიტეს" ცნობით, სირიის აჯანყებათა წინააღმდეგ ბრძოლაში ფრანგებმა დაჰკარგეს 10 ათასი კაცი და 10 მილიარდი ფრანკი ფული.

● **რასაკვირველია, არ მოსწონთ.** საფრანგეთის კომპარტიამ სენის დეპარტამენტში არჩევნებისათვის წამოაყენა ჟილბო და სადული. ეს არ მოეწონა სენის დეპარტამენტის პრეფექტურას, რომელმაც აცნობა კომპარტიას ჟილბოს და სადულის კანდიდატურის მიუღებლობა.

● **ფაშისტების წინააღმდეგ.** ნიცაში (იტალია) ფაშისტებმა თავი მოიყარეს ეკლესიაში თავიანთი დროშის საკურთხევლად. მათ ალყა შემოარტყეს 10 ათას დემონსტრანტ-რევოლიუციონერებმა. მალე გამოძახებულ იქნა ჟანდარმერია, რომელმაც საშუალება მისცა ფაშისტებს გაქცეულიყვნენ.

● **მუშების მდგომარეობა ინგლისში.** მაღაროს მუშათა ფედერაციის თავმჯდომარემ გერბერტ სმიტმა განაცხადა, რომ უკანასკნელ წლის განმავლობაში შრომის უნარი დაჰკარგა 212 ათასმა მუშამ. ეს ნიშნავს იმას, რომ ყოველ სამუშაო დღეს იღუპებოდა 5 კაცი.

შინა-ვაჭრობა და კოოპერაცია

რუსეთის კომპარტიის ცეკას პლენუმის დადგენილებები

მოსკოვი, 24 აპრილი. რუსეთის კომპარტიის ცეკას პლენუმმა, განიხილა რა საკითხი შინაურ ვაჭრობის და კოოპერაციის შესახებ, დაადგინა მისცეს შემდეგი დირექტივები კომუნისტებს, რომლებიც მუშაობენ ვაჭრობის და კოოპერაციის მომწესრიგებელ ორგანოებში.

ვაჭრობის მოწესრიგება.

აღიარებულ იქნეს, რომ შინაურ ვაჭრობის სახ. კომისარიატის მთავარ ამოცანად ითვლება სახელმწიფო ვაჭრობის და კოოპერაციის მიერ ბაზრის დაპყრობა კერძო სავაჭრო კაპიტალის ხარჯზე და აქტიურ კონტროლის განხორციელება კერძო კაპიტალის მოქმედებაზე, რა მიზნითაც შინაურ ვაჭრობის სახ. კომისარიატს უნდა მიენიჭოს მთელი ვაჭრობის რეგლამენტაციის უფლება.

შინაურ ვაჭრობის სახ. კომისარიატმა უნდა იბრძოლოს ანგარიშის გასწორების შელავათის წინააღმდეგ, რომელსაც სახელმწიფო ორგანოები აძლევენ კერძო კაპიტალს, და შეიმუშაოს საკითხი კერძო კაპიტალისა და დაწესებულებებისათვის კრედიტების მიცემის შეზღუდვის შესახებ. დაჩქარებულ იქნას შინაურ ვაჭრობის სახ. კომისარიატის მუშაობა კერძო მოვაჭრის უშუალოდ დასაკავშირებლად სახელმწიფო საბითუმო ორგანოებთან, რამდენადაც კოოპერაცია და სახელმწიფო ვაჭრობას თვითონ არ შეუძლიათ დაიპყრონ საწვრილმანო ბაზარი და მიიღონ ზომები კერძო საბითუმო საშუალედო ოპერაციების შესაწყვეტად, განსაკუთრებით განაპირა კუთხეებში.

დაუშვებლად იქნას აღიარებული სახელმწიფო სავაჭრო ორგანოების მიერ კერძო პირთათვის საკომისიოდ საქონლის მიცემა და ასეთი დაშვებულ იქნას მხოლოდ განსაკუთრებულ შემ-

თხვევაში და იმ პირობით, თუ საქონელი გაიყიდება განსაზღვრულ ფასებში და მინიმალურ მოგებით.

შინაურ ვაჭრობის კომისარიატმა უნდა აწარმოოს ბრძოლა სავაჭრო ორგანიზაციების მიერ იმ დადგენილების დარღვევის წინააღმდეგ, რომელიც ეხება გაყიდვის ფასებს და პასუხისგებაში მისცეს დამნაშავეები.

პარალელიზმის თავიდან ასაცილებლად, შინაურ ვაჭრობის სახ. კომისარიატმა უნდა გამოიკვლიოს საკითხი ერთსა და იმავე რაიონებში ცალკე სავაჭრო გაერთიანებათა ერთგვარ წარმომადგენლების გაერთიანების შესახებ და აგრეთვე საკითხი კოოპერატიულ ორგანიზაციების მონაწილეობის შესახებ საწვრილმანო ვაჭრობაში სოფლის და ქალაქის ბაზრებზე დამკვრელად ითვლება ხორცის გაიაფების დ ხორცის ბაზრის დაპყრობის საკითხი სამრეწველო ცენტრებში და საკითხი პურით ვაჭრობის ფორმების და კერძოთ პურით ვაჭრობის ერთ დიდ სახელმწიფო სავაჭრო ორგანოში გაერთიანების შესახებ.

რათა ფულის რეფორმის გამო თავიდან იქნას აცილებული დამატებითი მოგება, შესაძლებლად იქნას აღიარებული მუშათა ორგანიზაციების მიერ ცალკე მოვაჭრეებისადმი ბოიკოტის გამოცხადება, განსაკუთრებით იმ მოვაჭრეებისადმი, რომლებიც არ აძლიერებენ ფასებს და დაევალოს გაზეთებს პერიოდულად გამოაქვეყნონ შინაურ ვაჭრობის სახ. კომისარიატის მიერ დაწესებული საწვრილმანო ფასები, წინადადება მიეცეს ყველა მოვაჭრეებს გამოჰკიდონ ამ საქონლის ფასები.

საჭიროა მოეწყოს ბანკების კომიტეტი, რომლის ამოცანას შეადგენს საბანკო კრედიტების და საშუალებათა წონასწორობილად განაწილება სხვადასხვა რაიონებსა და მეურნეობის დარგებს შორის.

კოოპერაციის შესახებ

მთავარ ამოცანად მუშათა და გლეხთა ფართო მასების კოოპერატივებში გაერთიანების საქმეში აღიარებულ იქნას მომხმარებელ კოოპერატივებში მუშათა და გლეხთა თავისუფალი წევრობის შემოღება და დაბალი საფეხურის კოოპერატივების ქსელის გამტკიცება ქალაქში და სოფლად, რამინ-თაც გატარებულ უნდა იქნას კოოპერაციის სავაჭრო მოქმედების მაქსიმალური დეცენტრალიზაცია და მიენიჭოს დაბალ საფეხურის კოოპერაციებს... (გამოტოვებულია).

ფასები მომხმარებელ კოოპერატივებში უნდა იყოს უფრო დაბალი, ვიდრე კერძო ვაჭრობის საშუალო ბაზრის ფასები, და საქონლის ასორტიმენტი (შერჩევა) უნდა იქნას შეფარდებული მუშების და გლეხთა მასების მოთხოვნილებებთან

მომხმარებელ კოოპერატივის სამეურნეო მუშაობა უნდა იქნას განვითარებული ორგანიზაციულ სამეურნეო სიმტკიცის მიხედვით. მომხმარებელმა კოოპერაციამ უნდა იკისროს მხოლოდ ისეთი ამოცანები, რომელთა განსახორციელებლად მას მოეპოვება საკმაო საშუალებები.

რათა სასწრაფოდ თავიდან იქნას აცილებული წარმოებლობითი გადახრა მომხმარებელ კოოპერაციის მოქმედებაში, საჭიროა შეწყვეტილ იქნას კომერციული ხასიათის ოპერაციები, რომლებიც უშუალოდ არ არიან დაკავშირებული მომხმარებელთა მთავარ მასის ინტერესებთან... (გამოტოვებულია).

მომხმარებელი კოოპერაციის განსაკუთრებული როლის გამო კერძო კაპიტალისაგან ბაზრის დაპყრობის, ფასების დაწევის და ფულის რეფორმის წარმატებით ჩატარების და რეალურ ხელფასის დაცვის საქმეში—ცეკას პლენუმი ავალებს სამდივნოს გაუგზავნოს დირექტივები ადგილობრივ პარტორგანოებს კოოპერაციისათვის ყურადღების გაძლიერების მიზნით ცეკამ დაავალა აგრეთვე სხვადასხვა ორგანოებს შეიმუშაონ საკითხი ფასების დაკლების დროს კოოპერაციის დახმარების, კოოპერაციისათვის მოკლე ვადიანი სესხის მიცემის და სასოფლო მეურნეობის პროდუქტების და ნედლი მასალის დასამზადებლად და გასასაღებლად „ცენტროსოიუზის" მიერ წარმოებულ ოპერაციების შესახებ

ილიჩის დაბადების დღე

სამთო მადნო მუშათა ყრილობაზე.

მოსკოვი. 25 აპრილი. 24 აპრილს საღამოს კავშირთა სახლში შესდგა სამთო მადნო მუშათა ყრილობის საზეიმო სხდომა, ლენინის ხსოვნის აღსანიშნავად.

ლენინმა დაამთავრა მარქსის საქმე.

ამხ. კამენევმა შესავალ სიტყვაში აღნიშნა, რომ მარქსმა აღმოაჩინა თანამედროვე საზოგადოების ერთობის კანონები, დაადგინა, თუ როგორ იქმნება მის წიაღში კაპიტალისტური წესწყობილების მესაფლავე—თანამედროვე პროლეტარიატი და გვიჩვენა გზა, რომლითაც პროლეტარიატი მიდის თავის განთავისუფლებისაკენ.

მარქსმა დასტოვა დაუმთავრებელი ორი რამ: როგორ ხდება სოციალისტური რევოლუცია და როგორი იქნება მუშათა კლასის მდგომარეობა ძალაუფლების ხელში ჩაგდების შემდეგ. ეს საქმე დაამთავრა ლენინმა.

მარქსის სოციალიზმის საერთო თეორია ლენინმა გაატარა პრაქტიკულად ცხოვრებაში. ლენინმა გვიჩვენა, როგორ ხდება სოციალისტური რევოლუცია, შეიტანა მარქსიზმში მოძღვრება ახალ საბჭოთა სახელმწიფოს შესახებ, რომელიც უნდა აშენდეს ძალაუფლების ხელში ჩაგდების შემდეგ.

ამხ ტროცკის სიტყვა.

ამხ. ტროცკიმ, რომელსაც მქუხარე ტაშით შეხვდნენ უბრალო, მგრძნობიერ სიტყვაში აღნიშნა ზოგიერთი ეპიზოდები ლენინის ცხოვრებიდან და მოღვაწეობიდან. „დღეს, ამბობს ტროცკი, ძნელია ლენინის სურათის დახატვა. საჭიროა ცოტა დავშორდეთ ამ მომენტს, რათა ვესახოთ დაახლოვებით მაინც მისი პიროვნება, რათა განვამტკიცოთ იგი კაცობრიობის ხსოვნაში. ამჟამად ყველაზე უკეთესია აღვადგინოთ ცალკე ეპიზოდები მისი ცხოვრებიდან და მოღვაწეობიდან. **მრავალ თაობას არ ექნება უფრო საინტერესო წიგნი ვიდრე წიგნი ილიჩის შესახებ,** მაგრამ მას ვერ დასწერს ვერავინ, თუ ჩვენ თვით არ მოვკიდეთ ხელი ამ საქმეს". დამსწრე მუშებმა მქუხარე ტაშით გააცილეს ამხ. ტროცკი კავშირთა სახლის გასავლამდე.

ამხ. ტროცკის შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა ამხ. რადეკმა.

დახმარება უპატრონო ბავშვებს.

ტამბოვი. 24 აპრილი. ტამბოვის გუბერნიაში ილიჩის დაბადების დღე აღნიშნეს უპატრონო ბავშვებისათვის ფართო დახმარების მოწყობით. პროფკავშირებმა გადაწყვიტეს კულტურულ ფონდიდან სამი თვის განმავლობაში გაიღონ 33 პროცენტი უპატრონო ბავშვების სასარგებლოდ. მუშა ქალებმა გადაწყვიტეს გაატარონ მთელი რიგი კვირაობისა საბავშვო სახლებში. ტამბოვში გაიხსნა სასადილო უპატრონო ბავშვებისათვის.

საუკუნო ხსოვნა.

ვლადიმირი. 24 აპრილი. ვლადიმირის გუბერნიაში მრავალმა პარტიულმა ორგანიზაციებმა დაადგინეს დაიწყონ ყველა პარტიული კრებები საღამოს სრულ 6 საათზე და 50 წუთზე — ილიჩის გარდაცვალების დროს

ჩვენ და მასწავლებლობა

ამხ. ზინოვიევის სიტყვა

ლენინგრადის გუბერნიის მასწავლებელთა ყრილობაზე

(დასასრული)

არსებობს მხოლოდ კლასიური სკოლა.

იყო დრო, როცა ჩვენსა და მასწავლებლობას შორის ადგილი ჰქონდა აზრთა სხვადასხვაობას საკითხში, უნდა იყოს თუ არა ჩვენი სკოლა კლასიური. აქაც აშკარავდებოდა ძველ ბურჟუაზიულ წარსულის სულიერი განწყობილება ჩვენ არ ვფარავთ, რომ სკოლა ჩვენში კლასიური არის და უნდა იყოს კლასიური. წინად სკოლა აგრეთვე იყო კლასიური, მაგრამ ბურჟუაზიული. ბურჟუაზია არსებობის პირველი წლებიდანვე სწამლავდა ბავშვს თავისი იდეოლოგიით. პირველი სიმღერა, რომელსაც ბავშვს ასწავლიდენ, იყო „პატრიოტული". ბურჟუაზია სცდილობდა, რათა ახალი თაობა გამოსულიყო ცხოვრებაში ისეთი, როგორიც ეს საჭირო იყო ბურჟუაზიისათვის... (გამოტოვებულია)... ჩვენ ვცდილობთ და კიდეც მივაღწევთ იმას, რომ მთელი მოზარდი თაობა გადამუშავებული იქნას მუშათა კლასის, გლეხობის და მის წარმომადგენელთა ინტერესების მიხედვით. რა არის აქ ცუდი მშრომელებისათვის?

მასწავლებელი არ უნდა ილაშქრებდეს იმის წინააღმდეგ, რომ ჩვენი სკოლა კლასიურია, ვინაიდან კლასი, რომელსაც ჩვენ ვიცავთ, არის მუშათა, გლეხთა და მშრომელ ინტელიგენციის, ე. ი. ყველა მცხოვრებთა 99 პროც. კლასი. კიდევ ერთი ორი წელი საკმარისია იმისათვის, რათა მოისპოს ყოველგვარი გაუგებრობა კლასიური სკოლის საკითხში

საჭიროა მჭიდრო დაახლოვება პარტიისა მასწავლებლობასთან

ჩვენი პარტია ილტვის მასწავლებლობასთან დაახლოვებისაკენ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ახლო მომავალში პარტიის დაახლოვება მასწავლებლობასთან იმდენად მჭიდრო იქნება, რომ მასწავლებელთა მასსა გახდება საბჭოთა ხელისუფლების და კომპარტიის სააგიტაციო-საპროპაგანდო ორგანოდ. ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ მასწავლებელთა დიდი უმრავლესობა გახდება ჩვენი პარტიის წევრად დამთავრებულ კომუნისტების ახლო მაგრამ ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ახლო მომავალში თვით რიგ დიდ ამოცანებს ჩვენ შევასრულებთ გაერთიანებული ძალით, ვინაიდან ყოველი ცოტად თუ ბევრად განვითარებული მასწავლებელი ხედავს, რომ ჩვენი საქმე მართალია და ჩვენთან ერთად გააკეთებს ამ საქმეს. ჩვენ სიამოვნებით ვეგებებით ყოველ ნაბიჯს მასწავლებლების იდეოლოგიურად განთავისუფლების, საბჭოთა ხელისუფლებასთან და კომპარტიასთან დაახლოვების საქმეში. შემდეგი სიტყვა თქვენ გეკუთვნით. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ თქვენის მხრივაც დავინახავთ ასეთსავე სურვილს.

სოფლის მასწავლებელი.

მასწავლებელმა სოფელში უნდა ითამაშოს უდიდესი როლი მისი ამოცანები აქ არ შემოიფარგლება წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციით. მან დახმარება უნდა გაუწიოს გლეხს მოაწყოს კოოპერაცია, გაიყვანოს გზები და გახსნას საავადმყოფოები. არა მარტო მასწავლებელი, არამედ აგრონომიც, ექიმიც, ფერშალიც—ყველანი უნდა გაერთიანდენ, რათა საბჭოთა ხელისუფლების და კომპარტიის ხელმძღვანელობით გარდაქმნან სოფელი. აქ სოფლის მასწავლებლისათვის აუარებელი სამუშაოა გასაკეთებელი.

ქალაქის მასწავლებელი.

ქალაქის მასწავლებლის მუშაობაც არა ნაკლებია, მუშებს სწყურიათ სწავლა. არასოდეს არ ყოფილა ისეთი წყურვილი ცოდნის შეძენისა, როგორც დღეს. მუშები შეხვდებიან, როგორც თავიანთ ძმებს ყველა იმათ ვინც მათთან მივა არა როგორც ამაყი და დამცინავი მასწავლებელი, რომელიც ზევიდან ქვევით დაუწყებს ცქერას მუშას. მუშა, რომელმაც 3 რევოლუცია მოახდინა, არასოდეს არავის ნებას მისცემს ზევიდან ელაპარაკოს მას. მხოლოდ იმის მუშაობა იქნება ნაყოფიერი, ვინც მასთან მივა, როგორც ამხანაგი თუ თქვენ ასე მიხვალთ მუშასთან, ის თქვენ მიგიღებთ, როგორც ძმას, დას და მადლობით შეიძენს თქვენგან იმ ცოდნას, რომელსაც თქვენ მას მიუტანთ.

მასწავლებლის როლი წერა-კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლის საქმეში.

მაგრამ, ეხლაც კი, როდესაც დაძლეული არ არის მატერიალური გაჭირვება, ჩვენ ვაყენებთ საკითხს მასწავლებლობასთან ფართო თანამშრომლობის შესახებ და იმედი გვაქვს, რომ მას გადავწყვეტავთ. ძირითადი ამოცანა, რომელიც ჩვენს წინაშე სდგას —ეს არის წერა-კითხვის უცოდინარობის მოსპობა 1920 წელში ჩვენს ქვეყანაში ათას კაცზე მოდიოდა სულ 319 კაცი, რომელთაც იცოდენ წერა კითხვა. სხვანაირად რომ ვსთქვათ: 1920 წელში მოსახლეობის 70 პროც. არ იცოდა წერა კითხვა. თითქმის 25 წლის განმავლობაში, დაწყებული 1898 წლიდან 1920 წლამდის წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვი ჩვენში გაიზარდა მხოლოდ 9 პროც. ე. ი. 3 წელიწადზე მოდის 1 პროც., რომ საქმე ასეთივე ნელი ტემპით წასულიყო, მაშინ ჩვენთვის საჭირო იქნებოდა 200 წელიწადი, რომ სავსებით მოგვესპო წერა კითხვის უცოდინარობა.

მაგრამ, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეხლა, როდესაც რევოლუციამ გადალახა ყველა ის დაბრკოლებები, რომელნიც ხელს უშლიდენ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციას, განვითარების ტემპით ოცჯერ უფრო ჩქარა წავა. ამიტომ ჩვენ მიზნად ვისახავთ მოვსპოთ წერა კითხვის უცოდინარობა სავსებით რამდენიმე ათი წლის განმავლობაში, და თუ მოვახერხეთ, კიდევ უფრო ადრე.

მასწავლებლობის პროლეტარული აღზრდა.

გარდა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისა, ჩვენ უნდა შევძლოთ მშრომელი მასების პროლეტარულად აღზრდა, ამისათვის უპირველეს ყოვლისა საჭიროა თვით აღმზრდელების და მასწავლებლობის ხელახალი აღზრდა. ამხ. ლენინი 1920 წლის ნოემბერში სწერდა: „განათლების მუშაკები და მასწავლებელთა პერსონალი აღზრდილი იყო ბურჟუაზიულ ცრუმორწმუნოებებზე, რომელნიც ეწინააღმდეგებიან პროლეტარიატს, და ამიტომ არ ყოფილან ჩვენთან დაკავშირებული. ჩვენ უნდა აღვზარდოთ პედაგოგიური პერსონალის ახალი არმია, რომელიც დაკავშირებული უნდა იქნეს პარტიასთან და მის იდეებთან, გამსჭვალული უნდა იყოს მისი სულით, მან უნდა მიიზიდოს მშრომელთა მასები, უნდა შეიტანოს მასში კომუნიზმის იდეები და დააინტერესოს იმით, რასაც აკეთებენ კომუნისტები".

არც ლენინი, და ჩვენი პარტიის არც სხვა ავტორიტეტული წარმომადგენლები ამ დაშორებას მასწავლებლობისაგან არ სთვლიდენ რაიმე მუდმივ და ხანგრძლივ მოვლენად. ჩვენ მშვენივრათ ვიცოდით, რომ ეს დაშორება მოისპობოდა... (გამოტოვებულია).

საბჭოთა მასწავლებელი—არ არის „კაცი ფუტლიარში".

თქვენ გახსოვთ მასწავლებლის ცნობილი დახასიათება, რომელიც ეკუთვნის ჩეხოვს; ის მასწავლებელს ახასიათებს, როგორც დაჩაგრულ, გაცვეთილ, შეუმჩნეველ ადამიანს, რომელიც რჩება თავის ნიჟარაში და თავისი ცხვირის იქით ვერაფერს ვერ ხედავს—„ადამიანი ფუტლიარში". რევოლუციის წინა ეპოქაში მასწავლებელთა შორის მართლაც იყვნენ ფუტლიარული კაცების ტიპები, მაგრამ ამაში მასწავლებლობა დამნაშავე არ არის. მას იდეურათ და ზნეობრივათ სისტემატიურათ სწამლავდა ბურჟუაზიული ლიტერატურა, ბურჟუაზიული და ინტელიგენტური მოსყიდული პრესა იმისათვის, რომ მასაც მოეწამლა მოზარდი თაობა. ამიტომ ჩვენ მშვენივრათ ვიცით, რომ ჩვენი მასწავლებელი წააგავდა ადამიანს ფუტლიარში, მაგრამ ამაში დამნაშავე იყო არა ის, არამედ მისი კლასიური მდგომარეობა.

ჩვენს მასწავლებლებს შორის აზნაურები და ბურჟუაზიის შვილები ცოტა იყო. მასწავლებლები სხვადასხვა წრიდან გამოსული ინტელიგენტები იყვნენ. მასწავლებელი თავისი კლასიური მდგომარეობის მიხედვით არ ყოფილა რევოლუციის წინააღმდეგ განწყობილი. ჩვენ ვიცოდით, რომ დადგება დრო, როდესაც მასწავლებელი პირს იბრუნებს რევოლუციისაკენ. ასეთი მომენტია სწორედ ეხლა.

მასწავლებელი პირს იბრუნებს რევოლუციისაკენ. მასწავლებელმა ეხლანდელი ეკონომიური მდგომარეობის გამოსწორებისა და გაუმჯობესების შემდეგ მონახა თავისი თავი, ის კიდევ ჩაუკვირდება თავის მდგომარეობას და ჩვენს ქვეყანაში ითამაშებს არა ბურჟუაზიის იარაღის როლს, არამედ ის იქნება პროლეტარული სახელმწიფოს სრულუფლებიანი წევრი, რომელიც პროლეტარიატის სხვა ფენებთან ხელიხელ ჩაკიდებული იმუშავებს პროლეტარული სახელმწიფოს სასარგებლოთ.

მაშ ვიმუშაოთ ერთად.

თქვენს წინაშე აუარებელი სამუშაოა. მატერიალური სიდუხჭირე კიდევ დაუძლეველია; მაგრამ თვიდან თვემდე ეს სიდუხჭირე თანდათან მცირდება და დადგება დრო, როდესაც ყოველგვარი მატერიალური გაჭირვება დაძლეული იქნება და თვითეულისათვის ადვილი იქნება მუშაობა. **მაგრამ საჭიროა, რომ თქვენ ეხლავე მუშაობდეთ. დრო არ იცდის. ჩვენ გელოდებით თქვენს სიტყვას. მაშ, ვიმუშაოთ ერთად იმ დიად საქმისათვის, რომელიც გვიანდერძა ჩვენ ლენინმა.** (ხანგრძლივი ტაში)

ფულის რეფორმა

თბილისის ბაზრის მდგომარეობა ფულის რეფორმის შემდეგ

(ა.-კ. შინა-ვაჭრობის კომისარიატის მონაცემებით)

ფულის მტკიცე ნიშნების დამკვიდრების შემდეგ თბილისის ბაზრის კონიუნქტურა შესამჩნევად შეიცვალა. უნდა აღინიშნოს უცილობელი და თვალსაჩინო დაცემა თითქმის ყველა საგნების ფასებისა, აგრეთვე ვაჭრობის შეჩერება.

თუ ფულის რეფორმის გატარებამდე მოსახლეობა იმყოფებოდა ამიერკავკასიის მერყევი ნიშნების გაცვლის ქვეშ და იძულებული იყო მთელი თავისი თავისუფალი თანხები გადაეყვანა საჭირო და არა საჭირო საქონელზე, ახალის ფულის ნიშნების შემოღების შემდეგ ვაჭარი ჩავარდა მოსახლეობის ეკონომიის მუხრუჭში, რომელიც ცდილობს დახარჯოს თავისი ფული რაც შეიძლება უფრო გვიან.

ამგვარ მდგომარეობის და აგრეთვე

[illegible]
თბილისის ბაზრის უფრო აქტ
[illegible] საქონლის
დარგი და რამოდენიმედ მანუფაქ
რის ის ნაწილი, რომელიც აკმაყოფ
ლებს გლეხობის მოთხოვნილ
რაც შეეხება აბრეშუმის და მატყ
ნაქსოვებს, უმაღლეს ხარისხის
ფეულობას, გალანტერიის და საო
ხო სახმარის საგნებს, მათ გას
ლების ტენდენცია არ ეტყობა,
ხუდავად უქმეების სეზონისა.
უფრო უკეთ მდგომარეობაში არ
კოოპერატივები, მაგრამ აქაც ფ
ლეულობის გასაღება მისუსტებულ
სეზონის შესაფერისი ასორტიმენ
უქონლობის გამო (ჩითი, ტილო
სხვ.), ძეტი გაცხოველება მანუფაქ
რაზე ეტყობა ხითაროვის და ბ
ქარვასლებს.

როგორ მიმდინარეობს ფულის რეფორმა

ფასები დაკლდება პროვინციაში.

პროვინციიდან ცნობები მოდის საქონლის ფასების დაკლებაზე, რომელიც ისევე გრძელდება და დაკავშირებულია ფულის რეფორმასთან. ფასები კლებულობს მანუფაქტურაზე, შაქარზე, ბრინჯზე, მარილზე, ხორცზე და კომუნალურ გადასახადებზე (ელექტრონზე და სხვა).

განსაკუთრებულ ტექნიკურ კომისიაში.

ფულის რეფორმის გამტარებელ კომისიამ დაადგინა, რომ ა. | კ ტერიტორიაზე საბჭოთა ფულის ნიშნების ტრიალის ნება დართოს. საბჭოთა ფულის ნიშნების მიღება სავალდებულოა ყველა სახელმწიფო, საზოგადო და კერძო დაწესებულებისათვის. მისი მოძრაობის შეწყვეტის დღემდე (ათი მაისი) საბჭოთა ფული მიიღება გამოსასყიდი კურსით (ერთი ჩერვონეცი უდრის 500.000 მანეთს—23 წლის საბჭოთა ფულის ნიშნებით).

შემნახველი კასების მუშაობა.

შრომის შემნახველ კასების სამმართველო იწყება, რომ რეფორმის პირველ დღეებში შესუსტებული თანხების შენატანი უკანასკნელ ხანებში ისევ გაიზარდა.

ფულის კასიდან გამოტანამ შესამ-
ჩნევად იკლო, რაც იმით აიხს
რომ წინად მერყევი ფულის ნი
ბის დროს ყოველ წამს იყო ფუ
კასიდან მოთხოვნა ყოველდღი
საჭიროების დასაფარავად, ხო
დღეს ფულის სიმტკიცის დროს
ფასის დაკარგვით საფრთხე ფუ
აღარ არსებობს და ამის გამო არც
ტანაა ხშირი. ხურდა ფულის ნაკ
ბა შრომის შემნახველ კასებს
თითქოს სხვა დანიშნულებას აძ
სახელდობრ — დამხურდავებელ
წესებულებისას. ხურდა ფუ
უქონლობის გამო, ფულის შ
ველთ ფულის გამოტანის დრ
რიგში დგომა უხდება, წვრ
ფულის კასაში შემოსვლის მო
დინში. ხურდა ფულის ნაკლებო
თანდათან ბოლო ელება. კასაში
მოდის ხურდა ფული, საკმაო რ
დენობით.

სახაზინო ბილეთების, ვერცხ
და ხურდა ფულის ახალი პარ
[illegible]
ბანება, რომ გუშინ მოსკოვ
მიღებულია სახაზინო ფულის
შნების, ვერცხლისა და ხუ
ფულის ახალი პარტია. მიღებ
თანხა სასწრაფოდ ურიგდება დაწ
სებულებებს.

სახელმწიფო ბანკის თბილისის კანტორაში

ობლიგაციების პირველი პარტია.

კანტორამ მიიღო სახელმწიფო სესხის ობლიგაციების პირველი პარტია (ერთ მანეთიანები და ხუთმანეთიანები)

ვერცხლის დარიგება.

დღეს ვერცხლი ეძლევა ფაბრიკების და ქარხნების მუშებს 30 დან 50 კაპეიკამდე თვითეულ კაცზე. მოსამსახურეებს ჯერჯერობით ვერცხლი არ ეძლევა.

ვერცხლის მიღება.

ხურდა ვერცხლის ფულის ახალი პარტია მიღებული იქნება ამ დღეებში.

ვერცხლი პროვინციებისათვის.
ბანკის საოლქო კანტორამ გა
ვნა ვერცხლის ახალი პარტია მაზ
პროვინციალურ განყოფილებებში
მსხვილი კუპიურების დახურდავ
მსხვილი კუპიურების დახურდა
სწარმოებს სახელმწიფო წარმოებებ
სათვის ხოლოდ [illegible]
რიგებლად. ამას გარდა რამოდენიმე
თანხა მიეცა კოოპერაციას მარაგ
დან ჩამოსულ გლეხობისათვის
რიგებლად. ასეთ კოოპერატიულ
განიზაციებს ჩამოერთვა ხელწერი

თბილისის პარტკონფერენცია

მეოთხე დღე

თავმჯდომარეობს ამხ. მ. კახიანი.

24 აპრილს დილის სხდომაზე გრძელდებოდა კამათი პარტიის ამოცანების შესახებ კოოპერაციაში. ამხ. ერქომაიშვილის საბოლოო სიტყვის შემდეგ მოხსენებას აკეთებს ამხ. რუბენი.

პარტმუშენობა

(მომხსენებელი ამხ. რუბენი)

პარტმუშენობის ხასიათი დამოკიდებულია მომენტის კონკრეტიულ პირობებზე ამბობს ამხ. რუბენი.

მე 12 ყრილობის რეზოლუციაში ნაჩვენებია პარტმუშენობის ფორმები და ხასიათი, რომლის მიხედვით უნდა ვაწარმოვოთ მუშაობა პარტიის ახალ ყრილობამდე. ჩვენ ვცხოვრობთ კაპიტალიზმიდან სოციალიზმისკენ გარდამავალ ხანაში, ახალ ეკონომიურ პოლიტიკის პირობებში და ამის მიხედვით ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ პარტიის წევრთა ფუფუნებას, ბურჟუაზიულ წრეებთან მათ კავშირს, რომელიც განსაკუთრებით საგრძნობია საქართველოში. ბრძოლა უნდა სწარმოებდეს უწყებრივ ფარგლებით შემოზღუდვის წინააღმდეგ, როდესაც ესა თუ ის ამხანაგი თავის უწყების თვალსაზრისს და მის ინტერესებს ვერ სცილდება. არსებობს აგრეთვე საფრთხე მსოფლიო რევოლუციის პერსპექტივებისაგან დაშორების, აგრეთვე საფრთხე ახალ ეკონომიური პოლიტიკის ზეგავლენით პარტიის წევრთა გადაგვარებისა, რაც პარტიის ყველა ყრილობების მიერ იყო აღნიშნული და ამ მიმართულებით დიდი მუშაობის გაწევაა საჭირო. ეს საფრთხე არსებობს როგორც ქალაქში ისე სოფელში, რადგანაც კლასობრივი დიფერენციაცია, გადაჯგუფება სწარმოებს ქალაქთან ერთად სოფელშიც.

საქართველოს პირობებში არსებობს კიდევ ერთი მთავარი საკითხი, რომლის გადასაჭრელათ ჩვენ აუცილებლათ უნდა გამოვნახოთ სწორი გზა. ეს საკითხია ყოფილ მენშევიკ მუშებთან დამოკიდებულება. ჩვენ არ უნდა გავუშვათ ჩვენი გავლენიდან მენშევიკური პარტიიდან გამოსული მუშები, ჩავაბათ ისინი სხვადასხვა ხასიათის მუშაობაში, არ გავაწყვეტინოთ მათ კავშირი ჩვენს პარტიასთან.

პარტიის მთლიანობის შესახებ კონფერენციაზე საკმაოთ იყო ნათქვამი და თბილისის კომიტეტმა ამ მიმართულებით უნდა გააგრძელოს თავისი საპასუხისმგებლო და სახელმძღვანელო მუშაობა.

შემდეგ ამხ. რუბენი ეხება პარტიის მუშაობას სოფლად, უპარტიო კონფერენციების მნიშვნელობას და სხვა, ხანგრძლივათ ჩერდება პარტმუშაობის ახალ მეთოდებზე, რომელთა გატარება, განსაკუთრებით, საჭიროა პარტიული დისკუსიის დამთავრების შემდეგ. არჩევნების სისტემა უნდა გამტკიცდეს. მთელს პარტიაში, ხელმძღვანელი ორგანოები ანგარიშით უნდა გამოდიოდენ ფართო პარტიული მასების წინ, ორ-სამ თვეში ერთხელ მაინც. სადელეგატო კრებები და მდივანთა თათბირები ფართოდ უნდა იქნან გამოყენებული. საჭიროა მთელი პარტიული მასის მუშაობაში ჩაბმა, და სხვადასხვა დარგში თუ წარმოებაში მომუშავე კომუნისტთა შორის ურთიერთო კავშირის გაძლიერება, დაუშვებულია რომ კომუნისტმა მეურნე ჩამოსცილდეს პროფორგანოებს, ან და პროფკავშირებში მომუშავე კომუნისტმა დაივიწყოს მეურნეობის განვითარების ინტერესები. უჯრედები უნდა დაუახლოვდენ წარმოებას, განზრახულია საწარმოვო თათბირების მოწყობა სამეურნეო დაწესებულებებში.

თბილისის ორგანიზაციაში ახალ შემოსულ 2000 წევრი გამოყენებულ უნდა იქნან მორიგი სამუშაობისათვის, საუკეთესო ნაწილი მათ შორის გამოყოფილ და გაგზავნილ უნდა იქნენ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე საბჭოთა ორგანოებში. ამასთანავე ერთად ახლად მიღებულთა შორის ფართო მუშაობა უნდა სწარმოებდეს, რომ მათ სავსებით შეითვისონ ლენინიზმი, რისთვის საჭიროა მთელი პარტიული ძალები გამოყენება. შემდეგ ამხანაგი რუბენი ჩერდება საგიტაციო - საპროპაგანდო მუშაობის პერსპექტივებზე და წინადადებას იძლევა მისი მოხსენება და დამუშავებული თეზისები, რომლებიც დელეგატებს დაურიგდათ, დაწვრილებით განხილულ იქნან სექციაში. სხვათა შორის განზრახულია ახლად ასარჩევ თბილისის კომიტეტში 45 წევრის და 25 კანდიდატის შეყვანა მუშათა მასების პარტიულ მუშაობაში ფართო მონაწილეობის მიღების მიზნით.

კამათი ამხ. კახიანის მოხსენების გამო*)

ამხ. მახარაძის სიტყვა

ამხანაგებო! მე გამოვდივარ აქ არა ვინმესთან პოლემიკის მიზნით და გამოვდივარ აქ არა რომელიმე ჯგუფის, და მით უფრო ფრაქციის სახელით,—მე გამოვდივარ როგორც ამ კონფერენციის ერთი წევრი და გამოვდივარ იმისათვის, რომ გაფანტო მრავალი გაუგებრობა და გაურკვევლობა, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ ჩვენს პარტიულ ცხოვრებაში ამ ორნახევარი წლის განმავლობაში. ამხანაგებო, ჩვენი თბილისის ორგანიზაცია იზრდება წლიდან წლამდის, თვიდან თვემდი, დღიდან დღემდი შესაძლოა, აქ იყვნენ ისეთი ამხანაგები, რომლებიც ჩვენს ორგანიზაციაში უთანხმოებათა და აზრთა სხვადასხვაობის არსებობის დროს არ იყვნენ მასში და იყვნენ მხოლოდ იმის მოწმე, რაც შემდეგში ხდებოდა.

რა მდგომარეობა იყო წარსულში.

უნდა წარმოვიდგინოთ ის მდგომარეობა, რომელშიც იმყოფებოდა ჩვენი პარტია საქართველოს გასაბჭოების შემდეგ. უნდა მოვიგონოთ ჩვენი პარტიის შემადგენლობა, რომელიც მაშინ იყო. ჩვენს გამენშევიკებულ ქვეყანაში საჭირო იყო დიდი სიფრთხილე, რაზედაც მიუთითებდა აგრეთვე ჩვენი ბელადი და მასწავლებელი ამხ. ლენინი. არავითარი ეჭვი არ უნდა არსებობდეს იმაში, რომ ამ პერიოდში ჩვენ ვერ ავიცილებდით თავიდან უთანხმოებას და აზრთა სხვადასხვაობას იმის შესახებ, თუ როგორ მოვაწყოთ როგორც შინაური ცხოვრება, ისე ურთიერთობა ერთის მხრით ამიერკავკასიის ერებსა და მეორეს მხრით რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკას შორის.

ჩვენს უთანხმოებას ცხოვრებამ მოუღო ბოლო.

ბოლოს და ბოლოს ეს უთანხმოებანი და აზრთა სხვადასხვაობანი თვითონ ცხოვრებამ გადასჭრა, გადასჭრეს ჩვენმა უმაღლესმა ორგანოებმა — პარტიულმა ყრილობებმა და რ. კ. პ. ცენტრალურმა კომიტეტმა. და რამდენადაც ეს სადაო საკითხები გადაიჭრა, იმდენად, მაშასადამე, უკვე აღარ შეიძლებოდა დარჩენილიყო უთანხმოებანი და აზრთა სხვადასხვაობანი, რადგან მათ დაჰკარგეს ის მწვავე ხასიათი, რომელიც მათ ჰქონდათ დასაწყისში.

ნუ ვილაპარაკებთ იმაზე, რამდენათ სასარგებლო ან საზიანო იყვნენ ეს უთანხმოებანი,—ეს დეე ისტორიამ გადასწყვიტოს, მაგრამ ერთი რამ ნათელია, რომ მას შემდეგ, რაც ამ უთანხმოებათ მოეღო ბოლო, არავითარ პრინციპიალურ უთანხმოებათ იმ დარგებში, რომლებშიც ისინი წარმოიშვენ, აღარ შეიძლებოდა ჰქონოდა ადგილი.

ძველ მდგომარეობას ბოლო უნდა მოეღოს.

საქმე იმაშია, რომ ამ საკითხების განხილვის დროს, კამათის დროს სხვადასხვა დაწესებულებებში მწვავდებოდა ურთიერთობა ამა თუ იმ ამხანაგებს შორის, ჩვენი ორგანიზაციის ამა თუ იმ ჯგუფებს შორის და ასეთი ურთიერთობა, რომელმაც დაკარგა პრინციპიალური ხასიათი, მაინც გრძელდებოდა.

ამხანაგებო! მე მხოლოდ ვაცხადებ ერთს: ამხ. კახიანი ამბობდა, რომ დისკუსია, თუ მთლიანად არა, ყოველ შემთხვევაში თავის მთავარ ნაწილში, ისეთივე იყო, როგორც ოპოზიცია, რომელიც იყო რუსეთში, კერძოთ კი მოსკოვში და რომ ჩვენში დისკუსიაში გამოდიოდენ ის ამხანაგები, რომლებიც წინათ „უკლონისტებათ" იყვნენ მონათლული. ამხანაგებო, მე ვფიქრობ, რომ ამ ნაწილში ამხ. კახიანი მაინც მთლიანად მართალი არ არის. მე ვფიქრობ, რომ ამ დისკუსიაში ადგილი არ ჰქონებია ასეთ მსგავსებას. ეს მსგავსება ერთის მხრით სრულიად შემთხვევითია, მეორე მხრით—განა ამ დისკუსიაში მონაწილეობას იღებდენ მარტო ყოფილი „უკლონისტები"? ნუ შევეხებით ახლა ამ საკითხს, იმიტომ, რომ თუ ჩვენ დავუბრუნდებით წარსულს, მაშინ შესაძლოა დაიჩრდილოს ჩვენი დღევანდელი ზეიმი.

ვიმეორებ, რომ ის მდგომარეობა, რომელიც არსებობდა, დაუშვებელია ორგანიზაციაში: ჩვენ უახლოვდებოდით ისეთ მდგომარეობას, როცა ჩვენი შინაპარტიული უთანხმოებანი არა მარტო იწერებოდნენ ჩვენთვის უცხო პარტიების, ჩვენი მტრების მიერ, არამედ მათ იყენებდენ და მომავალშიც შეეძლოთ შეექმნათ ჩვენ ისეთი მდგომარეობა, როცა ჩვენი ამოცანები სრულიად განზე დარჩებიან. ყოველი ამხანაგი, რომელსაც ჩვენი პარტიისათვის შესტკივა გული, ამას გრძნობს და ბოლოს და ბოლოს ყველაფერს საზღვარი აქვს! შესაძლოა, ჩვენ მოგვიხდა ყველა ამ გამოცდის გადატანა, პარტიის შიგნით ასეთი არანორმალური ურთიერთობის განცდა იმისათვის, რომ უფრო მეტის სიძლიერით გვეგრძნო მთლიანობა, შეკავშირება, გვეგრძნო კავშირი, რკინის კავშირი ჩვენი ორგანიზაციის შიგნით? ჩვენ ვლაპარაკობთ იმის შესახებ, რომ ახლა გარშემორტყმული არა მარტო გარეშე მტრების მიერ, პუანკარესა და მისი მაჩანჩალების სახით, არამედ ამასთან ერთად ჩვენი ქვეყნის შიგნითაც მრავალია ჩვენდამი მტრულათ განწყობილი ძალები, რომლებიც ყოველ საათში, ყოველ წუთში მზად არიან დაეცენ ჩვენ საბჭოთა ხელისუფლება და ასეთს მომენტში პარტიაში, ორგანიზაციაში, რაიმე ჯგუფობრივობის დაშვება იქნებოდა უდიდესი დანაშაული.

აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია, მაგრამ ჯგუფები და ფრაქციები დაუშვებელია.

აზრთა სხვადასხვაობა პარტიაში უნდა იყოს, მაგრამ ის არ უნდა მივიდეს რაიმე ჯგუფის შექმნაზე, ფრაქციაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

ეს ერთი წუთითაც არ დაგვივიწყებია ჩვენ, მაგრამ ეს შეგნება წარსულში ერთგვარათ შესუსტებული იყო.

ამხანაგებო! მე წარმოვიდგენ ერთი იმათგანს, რომელთაც უმთავრესად თავს დაატყდათ პარტიის უმაღლესი ორგანოს დადგენილებ!

ამხანაგებო! მე არ მსურს შევუდგე ამ დადგენილების განხილვას. მე ვამბობ, რომ არ ყოფილა არც ერთი მომენტი არა მარტო ჩემს წარსულ ცხოვრებაში, არამედ ამ ერთნახევარი თუ ორი წლის განმავლობაში, რომ მე არ მეგრძნო ჩემი თავი ვალდებულათ, პირველ რიგში მხარი დამეჭირა სრული მთლიანობისათვის, ჩვენი ორგანიზაციის რიგების რკინისებურ სიმტკიცისათვის. და ამხანაგებო, ვარწმუნებ მთელს ჩვენს ორგანიზაციას, რომ არ დადგება ისეთი მომენტი, როცა მე სხვანაირად ვიფიქრებ.

გაუმარჯოს ჩვენი რიგების მთლიანობას.

ამხანაგებო, ჩვენ ყველამ, განსაკუთრებით იმის შემდეგ, რაც დავკარგეთ ის, რომელიც ქმნიდა, აქვითკირებდა ყოველთვის პარტიის მთლიანობას, გულწრფელათ უნდა დავდოთ ფიცი, რომ საქართველოს კომპარტიის რიგებში ამიერიდან ადგილი არ უნდა ჰქონდეს არავითარ ჯგუფს და აქ მე თქვენთან ერთად ვამბობ: გაუმარჯოს ამ მთლიანობას, ამ მჭიდრო კავშირს, რომელსაც მხოლოდ ერთად ერთს შეუძლია გამოგვიყვანოს ჩვენ დიდ ფართე გზაზე (მქუხარე ტაში)

ამხ. ლომინაძის სიტყვა

ამხანაგებო! მე მინდა შევჩერდე ორ საკითხზე: პირველად პარტიაში ახალ წევრების მიღების საკითხზე და შემდეგ იმ მდგომარეობაზე, რომელიც შეიქმნა პარტიის შიგნით.

პარტიაში ახალ წევრების მიღების შესახებ.

პარტიაში ახალ წევრების მიღების საკითხის შესახებ მე ვილაპარაკებ თბილისის კომიტეტის ანგარიშის მიხედვით. მე ვფიქრობ, რომ აქ, ჩვენს ორგანიზაციაში არის ზოგიერთი ნაკლულევანებანი იმ ხაზის პრაქტიკული განხორციელების საქმეში, რომელიც ჩვენ უნდა გავატაროთ. თბილ. კომიტეტი ამ ხაზს უყურებს ისევე, როგორც მთელი პარტია, მაგრამ ამ ხაზის პრაქტიკულად განხორციელებაში ადგილი ჰქონდა ზოგიერთ ნაკლებს.

დისკუსია იმის შესახებ, თუ ვინ უნდა იქნეს მიღებული პარტიაში.

გენერალური დისკუსია პარტიაში მუშების მიღების შესახებ სწარმოებდა ცეკას უკანასკნელ პლენუმზე; იქ გამოირკვა, რომ ამ საკითხის გარშემო არსებობს ორი თვალსაზრისი.

პირველი მდგომარეობს იმაში, რომ წარმოებაში მყოფ მუშებიდან პარტიაში მიღებული იქნენ მხოლოდ ნამდვილი პროლეტარები, ე. ი. ისინი, ვინც სცხოვრობს მხოლოდ თავისი სამუშაო ძალის გაყიდვით და არ აქვთ არავითარი საკუთრება და არავითარი კავშირი სოფელთან.

პარტიის სოციალური შემადგენლობა.

მეორე თვალსაზრისი მდგომარეობდა შემდეგში: საქართველოს კომპარტიაში სჭარბობს არაპროლეტარული ელემენტი. 1921 წელში ჩვენს პარტიაში მუშები შეადგენდენ 7 პროც., დანარჩენ 93 პროც. შეადგენდენ არამუშები. პირველი გაწმენდის შემდეგ მუშების რიცხვი ავიდა 13 პროც., დანარჩენი 87 პროც. კი იყვნენ არამუშები. მეორე გაწმენდის შემდეგ, 1923 წ. 1 ლ იანვრისათვის მუშები შეადგენდენ 17 პროც. და 83 პროც. კი შეადგენდენ გლეხები, მოსამსახურეები, ხელოსნები და სხვები. 1924 წ. პირველი იანვრისათვის მუშები ჩვენს პარტიაში შეადგენდენ 21,6 პროც., დანარჩენ 78,4 პროც. კი შეადგენდენ გლეხები და სხვები. თუ ავიღებთ პარტიის წევრების და კანდიდატების საერთო რიცხვს, რომელიც იყო პარტიაში ახალი წევრების მიღებამდი, მაშინ ჩვენ გვექნება ასეთი მდგომარეობა: პარტიის ყველა წევრებიდან და კანდიდატებიდან მუშები შეადგენდენ 25 პროც. დანარჩენ 75 პროც. კი შეიადგენ ინტელიგენციიდან გამოსულნი, უფრო კი გლეხები, ხელოსნები და სხვები. ამრიგათ, ჩვენ ვხედავთ, რომ უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ჩვენს პარტიაში სჭარბობდენ არა პროლეტარული ელემენტები, რომელთა რიცხვი თანდათან მცირდებოდა. მაგრამ არაპროლეტარული მასის 75 პროც.—ეს მაინც უფრო მეტია, ვიდრე პარტიის სოციალური შემადგენლობის უბრალო სტატისტიკური აღრიცხვა.

მხოლოდ ამ ნიადაგზე იყო შესაძლებელი ავადმყოფობის ასე დიდხანს გაგრძელება. პარტიაში ჩვენ გვყავს 50 პროცენტი გლეხობა.

ორ უბედურებიდან—უფრო ნაკლები.

თუ საკითხს დავსვამთ იმის შესახებ, რა უფრო უჯობესია: გლეხობის და წვრილ ბურჟუაზიის, თუ მუშების—არა წმინდა პროლეტარების სიჭარბე პარტიაში, მაშინ ჩვენ, რასაკვირველია, უნდა ავირჩიოთ ეს უკანასკნელი, რადგან საქართველოში ნამდვილი პროლეტარები არ არსებობენ ჩვენი მუშების ცხოვრების პირობები არ არის სავსებით პროლეტარული. ისინი სცდილობენ შეიძინონ ძროხაც და სახლიც ჩვენ რომ მივუდგეთ ამ საკითხს გადაწყვეტას განყენებული პოლიტიკური ეკონომიის თვალსაზრისით, მაშინ ჩვენ შეცდომას დავუშვებდით. ყველა ამხანაგები ამ საკითხში პრინციპიალურად ერთი აზრისანი არიან, მაგრამ როდესაც სცდილობენ ამ საკითხის გადაჭრას, თვითეულ კონკრეტიულ საკითხების განხილვის დროს ადგილი ჰქონდა აზრთა სხვადასხვაობას. უარყოფენ წინადადებას პარტიაში მტვირთველების და შავი მუშების მიღების შესახებ. პრაქტიკულ მუშაობაში ტფილისის ორგანიზაცია ამ ხაზს მაინც არ ატარებდა. გოლდბერგი ამბობდა, რომ მის მიერ მიღებულია სულ რამოდენიმე მთელი შავი მუშა. თუ ანგარიშს გაუკეთებთ პირველი რაიონის მთელი პარტიული მასის შემადგენლობას (5.000 მუშა), მაშინ თქვენ დაინახავთ, რომ უმრავლესობას შეადგენენ არაკვალიფიციური მუშები. აი შეცდომები, რომელთაც ადგილი ჰქონდა ტფილისის ორგანიზაციის მუშაობაში. მე არ ვიტყვი, რომ ეს შეცდომა განზრახ ყოფილიყო ჩადენილი, მაგრამ ის არ ყოფილა გამოსწორებული, რასაც ამტკიცებს ციფრების ანალიზი.

კონფერენციამ უნდა ხთქვას თავ
სიტყვა.
და მე ვფიქრობ, რომ თბილ
კონფერენციამ უნდა დაადგინ
რომ ჩვენ მივიღოთ პარტიაში ი
მუშები, როგორიც არიან მტვირთ
ლები ან და შავი მუშები. ეს პ
ლეტარიატის ყველაზე უფრო დაბა
ფენაა, და სიმართლე უნდა ითქვ
1917 წ ჩვენი პარტია გამაგრდა
არაკვალიფიციურ მუშების მხრივ
ჩვენმა პარტიამ, რომელიც არ ი
მრავალრიცხოვანი 17 წლამდი, თ
მოუყარა თავის რიგებში არა კვალ
ფიციურ მუშებს, შავ მუშებს. ამ
გათ, მე ვფიქრობ, რომ ამ მხ
მუშაობა გამოსწორებული უნ
იქნეს

კიდევ ერთი შეცდომა.
აქ იყო კიდევ ერთი შეცდომ
რომელიც დროზე იქნა გამოსწორ
ბული. ეს იყო პარტიაში ახლათ მ
ღებულთა მეტისმეტათ მკაცრი
კითხვა და სასტიკი გამოცდა. ამა
მე არ შევჩერდები. მაგრამ უნ
აღვნიშნო ერთი, ის რომ, ქალაქ
წვრილ ბურჟუაზიული ინტელიგენ
თბილისის ორგანიზაციაში შეადგ
ეხლა 41 პროც., აქვე უნდა აღვნი
ნოს, რომ მრავალ იმ მუშებს, რომ
ლებმაც მიატოვეს დაზგა, უმეტ
შემთხვევაში ჩვენ ვერ ჩავთვლი
წარმოებაში მყოფ მუშებათ. თუ ავ
ლებთ ამ ფენს, ჩვენ პირდაპირ უნ
განვაცხადოთ, რომ თვითეული მტვირ
თველი, თუ ჩვენ მას სათანადო
აღვზრდით, გაცილებით ნაკლებ ს
ციალურ საშიშროებას წარმოადგენ
ვიდრე ეს წვრილბურჟუაზიული მას
საჭიროა არა პროლეტარული შემად
გენლობის განწმენდა ჩვენს პარტიაშ
ისევე, როგორც ეს ხდება მოსკოვშ
და სხვა ორგანიზაციებში.

მეტად მნიშვნელოვანი ამოცანა.
ეხლა, ამხანაგებო, მე მინდა გი
რათ რამოდენიმე სიტყვა ჩემი პირა
დი გამოცდილებიდან, რომელიც
მივიღე პარტიაში ახლად მიღებუ
წევრებს შორის მუშაობის წარმო
ბის დროს. რასაკვირველია, ამას
ვამბობ იმისათვის კი არა, რომ კრ
ტიკა გაუკეთო თბილისის კომიტ
ტის მუშაობას. არამედ იმიტომ, რომ
ეს ამოცანა მეტად მნიშვნელოვანი
პარტიაში ახლად მიღებულთა შორის
არიან მეტისმეტათ ჩამორჩენილ
ელემენტები და პირველი შთაბე
დილების მიხედვით მე შევიწინდი
დეც და ვფიქრობ, რომ ხომ არ შე
ვცდით ჩვენ, რომ ასე ფართოთ გა
ვუღეთ კარები ყველა მუშებს. მაგ
რამ, როდესაც ხედავ, რომ მუშებ
ბას დადებითი შედეგი მოაქვს, მ
შინ რწმუნდები, რომ ეს ელემენტ

---

*) მოგვყავს უფრო ვრცლად ამხანაგების სიტყვები.

ეკონომიური ცხოვრება

ვალუტის კურსი თბილისში.

(26 აპრილი)

ჩერვონეცი—125 მილიარდი მან.

	ჩერვონეცით
სტერლინგი ფუნტი	8 მ. 45 კ.
ჩეკები —	7 მ. 50 კ.
ფუნტი	1 მ. 94 კ.
ჩეკები —	1 მ. 78 კ.
ამერ. დოლარი —	90 კ.
ლირა 100 ცალი	8 მან.
ფრან. 100 ცალი	9 მ. 40 კ.

ბიულეტენი

საქ. ფინკომთან არსებული [illegible] კომისიისა.

(26 აპრილი)

მანეთი 12.500 მილ.

[illegible] ფასები

(25 აპრილი)

2 ხარ.—5 ნახ. კაპ., ძროხის —80 კაპ., შაქარი რაფინადი—34 კაპ., შაქარი ფხვნილი—27 ... ზეთი—15 კ., კარტოფილი—2 ნახ. კაპ., მაკარონი 16 კ. თეთრი № 0 10 კ.. საპონი „[illegible]“ 22 კ., ლობიო—3 ნახ. კ.

[illegible] ბაზრის ფასები.

(25 აპრილი)

1 ხარ.—8 კაპ., პური 2 კ., შაქარი რაფინადი—34—ბრინჯი ძღლ—17 კაპ., ლობიო ძროხის ხორცი 80 კ. მაკარონი—18 კ., კარტოფილი—3 კაპ.

ბაზრის მოთხოვნილება

„[illegible]“-ის პროდუქცია, ნამცხვარი და ცილები (ავსტრიული), ... ნაწარმოები (ფრიზონი, და სხვ.), „კუზნეცოვ“-ის ჩაი, ცეილონის და ჩინური ჩაი, „[illegible]“-ის პროდუქცია, გოლ „სუპლემე“ და „ბუდა“, თეთრი თუნუქი (ინგლ.), „სახარტრესტ“-ის პროდუქცია, „კოქსინდიკატ“-ის პროდუქცია, ხორბალი და პურეული, „[illegible]“-ის ფქვილი, სახ. საპნის და საფეიქრო ნაწარმოები (საპონი „[illegible]“ და ტუალეტის, ნართავი, ზეთი და სხვა), „[illegible]“ პროდუქცია (ცემენტი, [illegible]), შაბიამანი, განჯის ოლიფას (ზეთი), ფანჯრის მინა რუს., ცინკის ფურცელი, კარტოფილის ფქვილი, „ლურსმანი“, „[illegible]“-ის პროდუქცია, შაქრის ბადაგი, (100 000 [illegible]) გერმანული გუთნები.

ბათუმის მოთხოვნილება.

ფქვილი, შაქარი რაფინადი, ნედლი ტყავეულობა, ზეთი, სალიცილი, (ნართი, მატყლი), ქვა-მარილი ნახირ., „[illegible]“-ის პროდუქცია, პორტლანდ ცემენტი.

ოფიციალური გარიგებანი.

ფეხსაცმელები (ხრომის)—17 მან. წყვილი, ფრანკო როსტოვი.

პურის ფქვილი—1 ხარ. 3 მ. 35 კ. ფუთი, 2 ხარ. 2 მ. 75 კ. და 3 მ. 30 კ. ფ., ფრანკო სადგ. ტფილისი.

[illegible] ხოლი რუს.—4 მ. 80 კ. ფუთი, ფრანკო „ქიმფუგოლ“-ის საწყობი.

ხარკოვის ბაზრის განწყობილება.

ხორბლეულის და პურეულის შაქრის და მცენარეული ცხიმების ბაზრებზე განწყობილება გაცხოველებულია; დანარჩენ ბაზრებზე—უცვლელია.

ჩერვონცების და ა.-კავკასიის ბონების შეფარდება.

ჩერვ.	ბონით	ჩერვ.	ბონით
1 კ.	125.000.000	56 კ.	7.000.000.000
2 კ.	250.000.000	57 კ.	7.125.000.000
3 კ.	375.000.000	58 კ.	7.250.000.000
4 კ.	500.000.000	59 კ.	7.375.000.000
5 კ.	625.000.000	60 კ.	7.500.000.000
6 კ.	750.000.000	61 კ.	7.625.000.000
7 კ.	875.000.000	62 კ.	7.750.000.000
8 კ.	1.000.000.000	63 კ.	7.875.000.000
9 კ.	1.125.000.000	64 კ.	8.000.000.000
10 კ.	1.250.000.000	65 კ.	8.125.000.000
11 კ.	1.375.000.000	66 კ.	8.250.000.000
12 კ.	1.500.000.000	67 კ.	8.375.000.000
13 კ.	1.625.000.000	68 კ.	8.500.000.000
14 კ.	1.750.000.000	69 კ.	8.625.000.000
15 კ.	1.875.000.000	70 კ.	8.750.000.000
16 კ.	2.000.000.000	71 კ.	8.875.000.000
17 კ.	2.125.000.000	72 კ.	9.000.000.000
18 კ.	2.250.000.000	73 კ.	9.125.000.000
19 კ.	2.375.000.000	74 კ.	9.250.000.000
20 კ.	2.500.000.000	75 კ.	9.375.000.000
21 კ.	2.625.000.000	76 კ.	9.500.000.000
22 კ.	2.750.000.000	77 კ.	9.625.000.000
23 კ.	2.875.000.000	78 კ.	9.750.000.000
24 კ.	3.000.000.000	79 კ.	9.875.000.000
25 კ.	3.125.000.000	80 კ.	10.000.000.000
26 კ.	3.250.000.000	81 კ.	10.125.000.000
27 კ.	3.375.000.000	82 კ.	10.250.000.000
28 კ.	3.500.000.000	83 კ.	10.375.000.000
29 კ.	3.625.000.000	84 კ.	10.500.000.000
30 კ.	3.750.000.000	85 კ.	10.625.000.000
31 კ.	3.875.000.000	86 კ.	10.750.000.000
32 კ.	4.000.000.000	87 კ.	10.875.000.000
33 კ.	4.125.000.000	88 კ.	11.000.000.000
34 კ.	4.250.000.000	89 კ.	11.125.000.000
35 კ.	4.375.000.000	90 კ.	11.250.000.000
36 კ.	4.500.000.000	91 კ.	11.375.000.000
37 კ.	4.625.000.000	92 კ.	11.500.000.000
38 კ.	4.750.000.000	93 კ.	11.625.000.000
39 კ.	4.875.000.000	94 კ.	11.750.000.000
40 კ.	5.000.000.000	95 კ.	11.875.000.000
41 კ.	5.125.000.000	96 კ.	12.000.000.000
42 კ.	5.250.000.000	97 კ.	12.125.000.000
43 კ.	5.375.000.000	98 კ.	12.250.000.000
44 კ.	5.500.000.000	99 კ.	12.375.000.000
45 კ.	5.625.000.000	1 მ.	12.500.000.000
46 კ.	5.750.000.000	2 მ.	25.000.000.000
47 კ.	5.875.000.000	3 მ.	37.500.000.000
48 კ.	6.000.000.000	4 მ.	50.000.000.000
49 კ.	6.125.000.000	5 მ.	62.500.000.000
50 კ.	6.250.000.000	6 მ.	75.000.000.000
51 კ.	6.375.000.000	7 მ.	87.500.000.000
52 კ.	6.500.000.000	8 მ.	100.000.000.000
53 კ.	6.625.000.000	9 მ.	112.500.000.000
54 კ.	6.750.000.000	1 ჩერვ.	125.000.000.000
55 კ.	6.875.000.000		

ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე

მგზავრთა მატარებლების მიმოსვლის ცხრილი. დეზერტირობასთან ბრძოლის კომისიამ წინადადება მისცა მიმოსვლის განყოფილებას შეაქვს გაზიდვისათვის შემოიღოს შემავსებული ცხრილი, რათა დაცული იქნეს რაც შეიძლება მეტი ეკონომია ხარჯებში.

მგზავრთა მატარებლების რეზერვის გამოყენება. დეზერტირობასთან ბრძოლის კომისიის წინადადებით ამიერ-კავკასიის რკინისგზაზე შემდეგ აღარ იქნება გამოყენებული სამგზავრო ორთქლმავლების სარეზერვო მატარებლების მოძრაობისათვის. ამის გამო შეცვლილი იქნება სამგზავრო ორთქლმავლების მოძრაობის ცხრილიც.

ცოდნის შემოწმება. დეზერტირობასთან ბრძოლის კომისიამ წინადადება მისცა ა.-კ. რკინისგზათა სამმართველოს სასწრაფოდ დანიშნოს შემომწმებელი კომისია, რომელიც მოახდენს მოკლე ხანში მიმოსვლის განყოფილების თანამშრომელთა გამოცდას.

მეცნიერება და ტეხნიკა

ინგლისის გამოფენა. 23 აპრილს, ვიმბლეიში ლონდონის ახლო უნდა გახსნილიყო ინგლისის საიმპერიო გამოფენა. გამოფენაზე სხვა ექსპონატებს შორის იქნება აგრეთვე სრული მინიატიურული ფაბრიკა-ქარხნები. გამოფენაზე მისულები ჩაეშვებიან ნამდვილ მაღაროებში, სადაც მუშაობა მიმდინარეობს ჩვეულებრივი ტემპით. საფეიქრო მრეწველობაც მთლიანად იქნება წარმოდგენილი: მოეწყობა ნახვა მთელი საფეიქრო პროცესის—ნედლი მასალიდან დაწყებული ქსოვილების დამზადებამდი.

ნაჩვენები იქნება სხვათა შორის ფარაონ ტუტ-ანხ-ამონის აკლდამა, რომელიც ლორდმა კარნარვონმა აღმოაჩინა 1922 წ. ეგვიპტეში. ნაჩვენები იქნება ყინულიანი მთები, რომლებსაც განსაკუთრებულ მაცივრებში (ХОЛОДИЛЬНИКИ) ინახავენ, უზარმაზარი თევზი, რომელიც გაიყინა ყინულში. ეს ყინული სპეციალური გემით მოაქვთ ინგლისში. ნაჩვენები იქნება აგრეთვე ნატურალური რეპროდუქცია როტორუას ცნობილი გეიზერის (რომელიც ახალ ზელანდიაში არის). ეს გეიზერი გამოფენაზე ჩვეულებრივი სახით იქნება წარმოდგენილი და ისვრის ორთქლსა და ცხელ წყალს.

არის აგრეთვე გამოფენაზე მსოფლიო ისტორიაში ყველაზე ულამაზესი ქალთა გალერეა მშვენიერ ელენადან დაწყებული.

არ არის დავიწყებული სპორტიც.

კინემატოგრაფიის განვითარება. „კინემატოგრაფიის შემსწავლელი საზოგადოების“ სხდომაზე ლონდონში ამ რამდენიმე ხნის წინათ ნაჩვენები იქნა აპარატი, რომელიც 100 სურათს იძლევა წამში. ამ აპარატს ესაჭიროება წუთში დაახლოებით ერთნახევარი ვერსი არშია. მისი გამომგონებელი აცხადებს, რომ აპარატს შეუძლია გადაიღოს არა მარტო მწერების ცხოვრების ყველა პროცესები, არამედ ქიმიური პროცესები და აგრეთვე ასაფეთქებელ მასალათა განვითარება და მოქმედება.

პარიზის სამეცნიერო აკადემიის უკანასკნელ სხდომაზე ექიმებმა კომანდონმა და ლომონმა დამსწრეს უჩვენეს თავისი ახალი გამოგონება: კინემატოგრაფიული აპარატი შეერთებული რენტგენის აპარატთან. ამ გამოგონებამ საშუალება მისცა მათ თვალყური ედევნებინათ ადამიანის ორგანიზმის ყველა ორგანოების მოქმედებისათვის—დაწყებული გულიდან და გათავებული მუცლის სიღრმის ორგანოების მოქმედებით. აპარატის ჩვენების დროს დამსწრე სპეციალისტებმა განაცხადეს, რომ კომანდონის და ლომონის აპარატებით ისარგებლებს აგრეთვე პარიზის ფიზიოლოგიური ინსტიტუტი და ბრწყინვალე შედეგებს მიაღწევს.

არქეოლოგიური აღმოჩენა. ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორმა გერბერტ სპინდენმა დასავლეთ გონდურასში (ამერიკა) აღმოაჩინა 3000 წლის წინათ არსებული ცივილიზაციის ნაშთები, რომლებსაც განსაცვიფრებელი მსგავსება აქვს ეგვიპტის ცივილიზაციასთან.

ქრონიკა

მადლობის გამოცხადება თბილისის მუშათა და გლეხთა მილიციის თანამშრომლებს. ქ. აღმასკომმა განიხილა რა თბ. მუშათა და გლეხთა მილიციის 1923 წ. მუშაობა, დაადგინა: აღნიშნული მილიციის მუშაობა ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად და მილიციის ყველა თანამშრომლებს გამოეცხადოთ მადლობა მუყაით და ნაყოფიერ მუშაობისათვის.

ქალაქის საავადმყოფოებში ავადმყოფების უფასოთ წამლობა. ქ. აღმასკომმა დაადგინა მიღებულ იქნას ქ. საავადმყოფოებში უფასოთ სამკურნალოთ: როგორც ქ. თბილისის, ისე მისი მაზრის ღარიბნი მცხოვრებნი, სათანადო მოწმობის (მილიციიდან, უბნის ექიმისგან, რაიაღმასკომიდან, სასოფლო საბჭოდან, პარტორგანიზაციიდან, პროფკავშირიდან) წარმოდგენით. 2) ყველა მოსწავლენი, 3) სამხედრო პირების ოჯახის წევრნი, 4) შრ. ბირჟაში აღრიცხული უმუშევრები, 5) სოც. უზრ. სახ. კომისარიატის მზრუნველობის ქვეშ მყოფი პირები, 6) ქ. თბილისის და მისი მაზრის მილიციის თანამშრომლები და 7) გადამდებ სენით ავადმყოფნი.

ქალაქში ვირთაგვებთან ბრძოლა. ჯანმრთელობის განყოფილებას ქ. აღმასკომმა გადასცა 4000 მან. ქალაქში გამრავლებულ ვირთაგვების მოსასპობათ.

დახმარება. ქ. აღმასკომმა ჩოხატაურის (გურია) საავადმყოფოს დასამთავრებლად და ადგილობრივ გზების შესაკეთებლად გადასდო 1000 მან.

პროფესიონალურ ავადმყოფობათა გამოსარკვევად. [illegible] კომისიამ გადასწყვიტა დაარსოს რესპუბლიკის ფარგლებში ინსტიტუტი პროფესიონალურ ავადმყოფობათა გამოსარკვევად.

შრომის ბირჟის თანამშრომელთა გაწმენდა. საბჭოთა მუშაკების კავშირი სამდივნოს და მეორე რაიონის კომიტეტის დადგენილების თანახმად უახლოეს მომავალში მოხდება შრ. ბირჟის თანამშრომელთა გაწმენდა.

წიგნები პარტიული სკოლებისათვის. მთავარ პოლიტგანმანათლებლობამ თებერვლის და მარტის განმავლობაში პარტიულ სკოლებს შორის გაანაწილა 1200 წიგნი ადგილობრივი და მოსკოვის გამოცემები.

წიგნთსაცავების მოწყობა. მთავარ პოლიტგანმანათლებლობის მიერ მაზრებში წიგნთსაცავების მოსაწყობად შედგენილია 14 წიგნთსაცავი, რომლის საჭიროებისათვის გაცემულია 7,500 მანეთი.

შრომის მოძრაობა. 24 აპრილს შრ. ბირჟაში გამოცხადდა—211 უმუშევარი, ახლად ჩაიწერა—75, მოთხოვნილება იყო—56. სამუშაოზე გაიგზავნა—60.

გლეხთა ურთიერთდახმარების რაიკომიტეტები. სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის ცნობით, საქართველოში ამ ჟამად სულ მოწყობილია თოთხმეტი საურთიერთო დამხმარე გლეხთა სამაზრო კომიტეტი. რესპუბლიკაში ამ ჟამად დარჩენილია მხოლოდ ორი მაზრა, (ლეჩხუმის და სვანეთის), სადაც არ არიან არჩეული საგლეხო კომიტეტები.

დაკარგულია. საქ. კომპარტიის, სიღნაღის მაზრის, წნორის ორგანიზაციის წევრის ამხ. ილია სტეფანის ძე [illegible] მთლიანი პარტმოწმობა № 495717 გაცემული საქ. კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ. გამოცხადებულია გაუქმებულად.

პროვინციების აღმასკომების მუშაობა.

საქონლის ჭირი. სოფ. საკრეპელოში თავი იჩინა საქონლის ჭირმა. დუშეთის მაზრის აღმასკომმა დაადგინა ღარიბ გლეხობას საქონლის აცრა უფასოთ. ამავე აღმასკომის დადგენილებით სამი თვის განმავლობაში აკრძალულია ავადმყოფი საქონლის ერთი ადგილიდან მეორეზე გადაყვანა.

[illegible] სააგენტო. სახელმწიფო დაზღვევის სამმართველომ დახურა თავის სააგენტო დუშეთში და მის ფუნქციები დაეკისრა მაზრის აღმასკომის საფინანსო განყოფილებას.

თელავის მაზრის აღმასკომის სამეურნეო განყოფილებამ თელავის შრომის სკოლაში თავის ხარჯზე მიიყვანა ერთი მოწაფე.

სასამართლოს სესიები რაიონებში. თელავის მაზრის სახალხო სასამართლოს სესია უკვე გაემგზავრა რაიონებში ადგილობრივ სხვადასხვა საქმეთა გასარჩევად.

შემთხვევები:

— დაჭრა. 23 აპრილს დღის 3 საათზე მოქ. სერგო ბაგდანის ძე ბოზალოვმა სომხის ბაზარი № 17, დანით მძიმედ დასჭრა თავისი ცოლი მარუსია იაგორის ასული ოჯახურ უსიამოვნების ნიადაგზე, დაჭრილი გადაგზავნილი იქნა საავადმყოფოში. დამნაშავე შეიპყრეს.

— ქურდიშვილი. 22 აპრილს დილის 11 საათზე თომას ქ. № 23, გაქურდული იქნა მოქ. [illegible] გიორგის ასულის ნავასარდოვის ბინა მისავე შვილის გიორგი ოგანოვის მიერ. ქურდი მიმალულია.

— ქურდობა. 22 აპრილს საღამოს 8 საათზე ფლირვერკვის ქ. № 9, გასაღების გატეხის საშუალებით გაქურდეს მოქ. მარიამ ვასილის ასულის დიმიტრიევის ბინა, წაღებულია 570 მან. საქონელი.

ამავე დღეს საღამოს 6 საათზე ყორღანოვის ქ. № 10 გაქურდული იქნა მოქ. მიხეილ ლეჟავას ბინა, საიდანაც წაღებულია სხვადასხვა ნივთები 344 მან. ქურდი შეიპყრეს მეეზოვე ვიშნევსკი და მოქ. პაშა ფილიპეს ასული უზვაროვა.

— ამავე დღეს გაქურდული იქნა მოჩვენებული გასაღებით (წყალსადენის ქ. № 8) მოქ. თუხარელის ბინა, წაღებულია 300 მ. ნივთები.

— ქურდი. მოქალაქე არისტაკ ზუკაკოვმა სისხლის სამართლის მილიციაში განაცხადა, რომ 22 აპრილს გაქურდული იქნა მისი ბინა (არკადის შესახ. № 11), საიდანაც წაღებულია 10,000 მანეთის სხვადასხვა ძვირფასი ნივთები. დაზარალებული ქურდობას აბრალებს თავისივე ცოლს ნინუცა გუკასოვს.

— 21 აპრილს ლენინის ქ. № 18 გაქურდული იქნა მოქ. სიმონ კილაძის ბინა, წაღებულია 50 ოქროს და ერთი ვერცხლის საათი და სხვა ნივთები.

— შეპყრობა. 22 აპრილს დილის 4 საათზე დეზერტირის ბაზრის ბოლოში მოდარაჯე მილიციელმა შეიპყრო ცნობილი ქურდები ივანე ილარიონის ძე ლომთაძე და გიორგი დავითის ძე დადეშქელიანი. ქურდები გადასცეს სისხლის სამართლის მილიციას.

ხელოვნება

„აბესალომ და ეთერი“ ახალი შემადგენლობით

23 აპრილს სახელმწიფო ოპერის თეატრში წარმოდგენილი იქნა ოპერა „აბესალომ და ეთერი“ ახალი შემადგენლობით მთავარ პარტიებში. მთავარ ინტერეს წარმოადგენდა, რასაკვირველია, ეთერის პარტიის შესრულება მომღერალ ქალის ტერლანგლიანის მიერ, რომელსაც თბილისის საზოგადოება იცნობს მხოლოდ როგორც საკონცერტო შემსრულებელს. მომღერალის გამოსვლა ოპერაში—მისი პირველი ნაბიჯია ხელოვნების ამ დარგში.

ვოკალური მხრივ პარტია ზედმიწევნით დამთავრებულად არის შესრულებული: თავისუფალი სიმღერა, მშვენიერი, ხავერდოვანი ტემბრის ხმა და მუსიკალობა. ამ მხრივ ტერლანგლიანმა საუკეთესო შთაბეჭდილება დასტოვა.

რაც შეეხება პარტიის სცენიურ მხარეს,—უნდა ითქვას, რომ შესრულება შორს იყო დამთავრებულობისაგან. მსახიობი ქალი ხშირათ არავითარ მონაწილეობას არ იღებს მოქმედების განვითარებაში—არ არის მრავალფეროვნება მიმიკაში, არ არის საერთოთ დრამატიული შესრულება არ არის [illegible]

ნათელ პარტიას მღეროდა მომღერალი ქალი როდენკო.—მსახიობს მშვენიერი ხმა აქვს, მაგრამ მეტათ სამწუხაროა, რომ სცენიურის მხრივ მსახიობი წინ ვერ მიიწევს.

მშვენიერი შთაბეჭდილება დასტოვა მურმანის პარტიის შესრულებით მომღერალმა ვენძემ. ის მოხდენილათ ხმარობს კანტილენას, კარგია ფრაზირობკა, მღერის მუსიკალურათ და ტემპერამენტით.

მსახიობს ეტყობა გაუბედაობა. მსახიობმა ამას ყურადღება უნდა მიაქციოს.

კარგათ არის დადგმული ცეკვა. ყველა ლამაზათ და პლასტიურათ ცეკვავს, განსაკუთრებით აღსანიშნავია პრიმა-ბალერინა ლენოვა და მოცეკვავე ქალი თამარ ქ ბიკიანი. ეს უკანასკნელი ყოველთვის საუცხოო სტილს იძლევა. მოძრაობა მსუბუქია, მას დიდი მომავალი აქვს.

ვიქებიდან უნდა აღვნიშნოთ ცაროკოვი (ბროვერის სტუდია). ის, როგორც სჩანს, მუსიკალური და ნიჭიერი ახალგაზრდაა.

პ. ზეხუთოვი.

—

კულტურული მუშაობა გამასწორებელ სახლში. გამასწორებელ სახლში № 1-ში 23 აპრილს მოწყობილი იყო საღამო. წარმოდგენილ იქნა მოლიერის კომედია „[illegible] მდაბიო“. სახელმწიფო დრამის მსახიობთა გოცირიძის, ნ. ჯავახიშვილის, გამრეკელის, შოთაძის, დავითაშვილის, ა. ვასაძის, დათ. ჩაიძის, დონაურის, [illegible] და სხვების მონაწილეობით. საღამომ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრე პატიმრებზე. წარმოდგენის შემდეგ პატიმრები მიესალმნენ ამხ. ნიკო გოცირიძეს, აღნიშნეს მისი მოღვაწეობა ქართულ თეატრის საქმეში და უძღვნეს პატიმართა ნაკეთები.

ანტირელიგიური საღამო დღეს, შრ. ბირჟის შენობაში გაიმართება ანტირელიგიური საღამო. წაკითხული იქნება მოხსენება ცრუმორწმუნეობის შესახებ დაიდგმება წარმოდგენა სამღვდელოების ცხოვრებიდან.

ხელოვნების მუშაკთა კავშირის ჟურნალი. მაისის 1-ლს გამოვა ხელოვნების მუშაკთა კავშირის ქართული ჟურნალის „ხელოვნების“ მორიგი № [illegible].

საღამო უმუშევართა სასარგებლოდ. 8 მაისს განათლების მუშაკთა კავშირის კლუბში გაიმართება დიდი საღამო უმუშევართა სასარგებლოდ.

ფურნეებში მუშაობის შესახებ

საქართველოს შრომის სახალხო კომისარიატის დადგენილება № [illegible] აპრილის 18 თარიღით.

ს. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატი ამით ადგენს:

1. ყველა პურის საცხობში მუშაობის წარმოება ნებადართულია დილის 5 საათიდან საღამოს 9 საათამდე.
2. იმ პურის საცხობში, რომელშიაც მუშაობა წარმოებს [illegible] თულ პერიოდის განმავლობაში, ე. ი. დილის 5 საათიდან საღამოს 9 საათამდე, ვალდებულნი არიან იყოლიონ მუშების ორი წყება.
3. ის ფურნეები კი, სადაც არ ჰყავთ დაქირავებული მუშა ხელი ან სადაც მუშები მხოლოდ ერთი წყებაა, მუშაობას აწარმოებენ დილის 5 საათიდან დღის 1 საათამდე.
4. ყველა პურის საცხობებში, იმის და მიუხედავად ჰყავთ თუ არა დაქირავებული მუშა ხელი, აკრძალულია სრულიად მუშაობის წარმოება:
   - ა) ღამით, საღამოს 9 საათიდან დილის 5 საათამდე.
   - ბ) კვირა და უქმე დღეებში.

   შენიშვნა: იმ შემთხვევაში, თუ ორი დღე ზედიზედ იქნა უქმე, მეორე უქმე დღეს შეიძლება მუშაობის წარმოება, ხოლო იმ დღის ხელფასი უნდა გაიცეს როგორც უქმე დღე მუშაობისათვის.
5. ეს დადგენილება ვრცელდება ყველა, უკლებლივ, პურის საცხობებზე (ფურნე, თონე, სალაფაშო, ბულკისაცხობი და სხ.)
6. ამ დადგენილების ცხოვრებაში გატარებაზე თვალყურის დევნება ევალებათ შრომის ინსპექტორებს.
7. ამ დადგენილების მოქმედება ვრცელდება ა. წ. მაისის 1-დან ოქტომბრის 15 დე.

საქ. შრომის სახალხო კომისარი მიქაძე.

შრომის დაცვის გან. გამგის მოადგილე ამაროვი.

ა. საჭიროა განსაკუთრებული
ლება მიექცეს პროპაგანდას
ის წრეებში.

ოა პარტიის ძალების გამოყენება.

ფიქრობ, რომ თბილისის კო-
მა საკმაოთ ვერ გამოიყენა
ის ყველა ძალები. მე ვიცნობ
რიგ ამხანაგებს, რომელნიც
ულ მონაწილეობას არ იღებ-
მუშაობაში. ეს კი ცენტრა-
ამოცანაა, რომელიც ხელს
ობს მუშების განვითარებას
ორივ მხრივ. გამიკვირდება
იმ ამხანაგებს, რომელნიც ამ
ას აწარმოებენ.
ფიქრობ, რომ თვითეულმა პა-
ვებელმა კომუნისტმა უნდა
ოს ყველაზე უფრო შავი და
ლიური მუშაობა ლენინიზმის
ვილულ წრეებში. სრულიად სა-
ნიანათ აღნიშნავს ამხ. კრუპსკ-
რომ ყველაზე უფრო მნიშვნე-
ი ამოცანა დღეს არის ის, რომ
ით პარტიაში მიღებულ მუშებს,
რა არის ლენინიზმი, რაში
მოიყოფს ის. მე წინადადებას შე-
ვ, რომ დაევალოს ყველა ამ-
ებს შეუდგენ ამ მუშაობას.

რას სწერდა ამხ. ლენინი.

22 წელში ამხ. ლენინი პარტია-
ბის მიღების საკითხის შესა-
წერდა ისე, რომ სანამ მუშათა
არ არის კლასიურათ ჩამოყა-
ული, საჭიროა თავი შევიკა-
პარტიაში მუშების მიღებისა-
მაგრამ თუ გვკითხავენ, რითი
ვიღუყოთ პარტიისათვის სწო-
ლიური პოლიტიკის გატარე-
ინ უნდა უპასუხოთ, რომ მისი
ნველყოფა შეუძლია მხოლოდ
ანობას და შეთანხმებულ მუ-
ის პარტიის წევრების რიგებში
პ რიქით, განხეთქილება პარ-
ის ძველ ბოლშევიკურ კადრებში
ლით დაღუპვამდი მიიყვანს
ით.

ქართველთა გამოცდილება.

დამტკიცა საქართველოს გა-
ილებამ საკმარისი იყო ქ პ-
ში გაუარესებულიყო, რომ
ოების პარტიის ხელმძღვანელ
ში სრულ დეზორგანიზაციამდე
ის ჩვენი პარტია.

ხეთქილების ჩანასახი აღმოფხვრილია.

განხეთქილების ჩანასახი თი-
აღმოფხვრილია. ამხ. ფილი-
მოსვლა ამტკიცებს იმას, რომ
არტიულ ბრძოლას ეხლავე
დასრულებული მიეცა. ეს უდიდეს
ს გამოილებს.

ჩას უნდა გავუფრთხილდეთ.

შესახებ, აქ რომ ფილიპემ განაცხადა, რომ პარტიაში შეიძლება ადგილი ჰქონდეს აზრთა სხვადასხვაობას ცალკე საკითხებში, მე უნდა განვაცხადო, რომ ამაში არაფერი საშიში არ არის; საშიშროება იმაში კი არ არის, რომ ჩვენ შორის ვცდებოდეთ, არამედ საშიშია ის, რომ ჩვენ ამ შეცდომებზე ვჯიუტობთ და ვიცავთ მათ. ეს შეცდომები თავის თავად არ არის საშიში და საზარალო, მაგრამ ჯიუტობა და მათი დაცვა—ეს კი მეტად საზარალოა. თავდაპირველად, როდესაც ამიერ-კავკასიის ფედერაციის საკითხს ვიხილავდით ყოველისმხრივ, აქ მაშინ არავითარი საშიშროებას არ ჰქონია ადგილი, მაგრამ საკითხის გამორკვევასა და გადაწყვეტის შემდეგ, როდესაც ზოგიერთი ამხანაგები მაინც იცავდენ თავის პოზიციას, ამით ისინი ქმნიდენ ისეთ მდგომარეობას, რომ ჩვენ აქ საქმე ჰქონდა არა მარტო უბრალო შინაპარტიულ ბრძოლასთან, არამედ ბრძოლასთან, რომელიც გამოხატავდა სხვადასხვა საზოგადოებრივ წრეების სხვადასხვა ინტერესებს.

საგნებს უნდა უწოდოთ თავისი სახელი.

შინაპარტიულ უთანხმოების ნიადაგზე შექმნილი ჯგუფი [illegible] წვრილბურჟუაზიულ სტიქიის გამოსავალ წერტილათ, ეს ჯგუფურობა—წვრილბურჟუაზიული დემოკრატიის შეხედულებების და განწყობილების გამომხატველი და გამტარებელი იყო. ჩვენ, რასაკვირველია, არ წამოვაყენებთ საკითხს შინაპარტიულ ბრძოლის შესახებ იმ მიზნით, რომ ხელახლა გავამწვავოთ და გავაჩაღოთ ყოფილი უთანხმოება. მაგრამ, ჩვენ ვალდებული ვართ მიუდგომლათ და ობიექტიურათ შევაფასოთ ის, რაც იყო. და იმის თქმა, რომ ზრდილობის გულისათვის ჩვენ საგნებს არ უნდა უწოდოთ თავისი სახელი, ეს შეცდომა იქნებოდა.

ჩვენ წავალთ დიდი ნაბიჯებით.

დღეს ჩვენ მეტისმეტად გვახარებს ის, რომ ამხ. ფილიპემ, ჩვენი პარტიის ერთ-ერთმა გამოჩენილმა ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ თუმცა ჩვენს პარტიაში წარსულში ადგილი ჰქონდა შეცდომებს, მაგრამ მათ ეხლა არავინ აღარ იცავს და ყველა იმუშავებს საერთოპარტიულ პლატფორმაზე. ამხანაგ ფილიპეს განცხადება, მე ვფიქრობ, გამოხატავს უფრო ფართო წრეების განწყობილებას, ეს კი ამტკიცებს იმას, რომ ჩვენი პარტია გამარჯვების გზას ადგია არა მარტო თავისი სოციალური შემადგენლობის მხრივ, არამედ პარტიაში მუშების შესვლით მტკიცდება მისი მთლიანობაც, და ამის გამო წარსულს ჩაბარდება წვრილ ბურჟუაზიული გადახრა. და თუ ეს ასეა, 1924 წელში, როდესაც ადგილი აღარ ექნება მძიმე შინაპარტიულ ბრძოლას, ჩვენ წინ წავალთ გაცილებით უფრო დიდი ნაბიჯებით და გაცილებით უფრო ჩქარა, ვიდრე ეს აქამდის იყო.

ამხ. ორჯონიკიძის სიტყვა

ამხ. სერგო ორჯონიკიძის გამოსვლას კონფერენცია მხურვალე ტაშით ხვდება.

თბილისის კომიტეტის ტაქტიკა სწორი იყო.

ამხანაგებო! მე ვფიქრობ, რომ არ არის საჭირო ლაპარაკი იმ დიდ მუშაობაზე, რომელიც შეასრულა თბილისის კომიტეტმა განვლილი პერიოდის განმავლობაში. ის ფაქტი, რომ ამ პერიოდის განმავლობაში ყველაზე ძლიერი, ღრმა ფესვების მქონე და თავის რიგებში საუკეთესო მუშაკების მყოლი პარტია, მენშევიკური პარტია საბოლოოდ გაიხრწნა და მის რიგებში არავინ დარჩა გარდა თითო ოროლა ბანდიტებისა,—ეს ამტკიცებს იმას, რომ ჩვენმა ორგანიზაციამ მოახერხა ერთხელ და სამუდამოთ იდეოლოგიურად და პოლიტიკურად დაეპყრო თბილისის მუშათა მასა. ეს ამტკიცებს იმას, რომ თბილისის კომიტეტის პოლიტიკა და ტაქტიკა, რომელსაც ატარებდა მისი მდივანი ამხ. რუბენი, სწორი იყო ყველაზე უფრო მტკივან საკითხზე, სახელდობრ ნაციონალურ საკითხში.

ნაციონალური საკითხი თბილისში.

არსად ასე გადახლართული არ არის ნაციონალური წინააღმდეგობანი, როგორც თბილისში. თითქმის სრულიად არ არსებობს ნაციონალური საკითხი ქუთაისში და მის მაზრაში, არ არსებობს ნაციონალური საკითხი სენაკში და მის მაზრაში, არ არსებობს ნაციონალური საკითხი ოზურგეთში და მის მაზრაში. იქ მთელ მოსახლეობას ქართველები შეადგენენ. რომ თვალი გადავავლოთ თბილისის ნაციონალურ შემადგენლობას, ჩვენ წარმოგვიდგება ამიერ კავკასია: აქ 36 პროც.-ს შეადგენენ სომხები, 35 პროც.—ქართველები, 24 პროც.—რუსები და რამდენიმე პროცენტს სხვა ეროვნებანი. აი სწორეთ აქ უნდა იქნას აღებული სწორი, ინტერნაციონალური ხაზი, რომ შეკრებილი იქნეს ყველა ეროვნებანი ერთი წითელი დროშის ქვეშ. თბილისის კომიტეტმა ეს მშვენივრად მოახერხა. ამხ. ფილიპეს გამოსვლა ამის საუცხოვო დამამტკიცებელია.

რა უნდოდათ მენშევიკებს.

ამხ. ფილიპესა და ნიკო კიკნაძის მიერ თქმულის შესახებ მე შემდეგი უნდა განვაცხადო: არ არის დასამალავი ის, რომ საკითხი საქართველოს პარტიის შინაპარტიული მდგომარეობის შესახებ გახდა არა მარტო საქართველოს კომუნისტური პარტიის ან ამიერ კავკასიის ორგანიზაციების, არამედ ჩვენი, სრულიად საკავშირო პარტიის მსჯელობის საგანი. ის საერთაშორისო საკითხიც კი გახდა. მთელი ჩვენი დისკუსია და საბუთები რამდენიმე კვირის შემდეგ იბეჭდებოდა „სოციალისტიჩესკი ვესტნიკ“-ში. ჩხენკელი თავის მემორანდუმში ინგლისის მთავრობისადმი მიუთითებს უთანხმოებაზე საქართველოს პარტიის შიგნით და ამაზე სპეკულიაციას ეწევა. დიდხანი ერთ თავის წერილში სწერდა, რომ მენშევიკების ც. კ. გადასწყვიტა რაც არ უნდა დაჯდომოდა გამოენახა საერთო ენა ქართველ უკლონისტებთან, გაეგზავნა მათთან საზოგადო მოღვაწეები და ეცადა მათთან შეთანხმება.

რა სთქვა ამხ. ფილიპემ.

და როცა ჩამოვიდა მენშევიკური ბანდიტების მეთაური ხომერიკი, მან განაცხადა, რომ ეს ცხოვრებაში უნდა იქნეს გატარებული. მე ველაპარაკე ამის შესახებ ფილიპეს და ფილიპემ განაცხადა, რომ ის დაუფიქრებლად სთვლის ფიქრსაც კი, რომ ჩვენს შორის მოიძებნებოდეს თუნდ ერთი კაციც, რომელსაც რაიმე საერთო ექნებოდა მენშევიკების მსგავს ყოველგვარ არამზადებთან და ნაძირალებთან. თუ ჩვენ ვებრძოდით ერთმანეთს, თუ ჩვენ, შესაძლოა, მომავალშიც მოგვიხდება ასეთი ბრძოლა, ეს მოხდება მხოლოდ ჩვენს შორის, როგორც ერთი დიდი ოჯახის წევრებს შორის, მაგრამ ვერასოდეს თეთრგვარდიელი არამზადები ვერ შემოიპარებიან ჩვენ შორის.

ამხ. ფილიპეს დღევანდელი განცხადება.

ფილიპეს დღევანდელი გამოსვლა განირჩევა ნიკო კიკნაძის გამოსვლისაგან. მე არ მახსოვს, ილაპარაკა თუ არა ამხ. ლომინაძემ იმის შესახებ, რომ ამხ. ფილიპემ აღიარა თავისი შეცდომები და სხვ., მაგრამ ჩემთვის ერთი რამ ნათელია: მთლიანობა პარტიაში არ იქნება ურთიერთ პატიებით ან ერთმანეთისათვის ხელის მიცემით. ჩვენ პირადი სიმპატიების ან ანტიპატიების გამო როდი ვიბრძოდით. ჩვენ გვქონდა სერიოზული, ღრმა, პრინციპიალური ხასიათის უთანხმოებანი.

რა გზით მიიღწევა მთლიანობა.

ამ უთანხმოებათა აღმოფხვრა, დარღვეული მთლიანობის აღდგენა, შეიძლება მხოლოდ გარკვეული, ნათელი პოლიტიკური პლატფორმის ნიადაგზე.

ამის გარეშე არც ერთ პარტიას, არასოდეს მთლიანობა აღარ მიუღწევია.

საკითხი სწორად უნდა დაისვას.

და ამისათვის, რომ ეს მთლიანობა მიღწეული იქნეს, საკითხის მიჩქმალვა, ისე, როგორც ამას შვრებოდა ამხ. კიკნაძე, არაფრად არ ვარგა. უფრო მეტი,—ის განცხადება, რომელიც გააკეთა ნიკო კიკნაძემ, ეს განცხადება არსებითად საშიშროებაა. რა სთქვა მან? „ყველა იმ საკითხებში, რომელთა გამო ჩვენ გებრძოდით თქვენ, სიმართლე ჩვენს მხარეზეა, მაგრამ მიუხედავად ამისა, არ ვებრძოლებით“. რა რევოლუციონერი და იდეური ადამიანი ხართ თქვენ ამის შემდეგ?

როგორ აცხადებთ თქვენ ახლა, რომ ყველა ამ საკითხებში, რომელთა გამო ორი წლის განმავლობაში იბრძოდით შეურიგებლად და მიდით ბრძოლის სხვადასხვა, წარმოადგენდით საშუალებებამდი, რომ ყველა ამ საკითხებში თავი მართალად მიგაჩნიათ, მაგრამ მაინც ბრძოლა არ გსურთ? თუ ამხ. კიკნაძე ამ გამოსვლას სთვლის გამოსვლით მთლიანობის სასარგებლოდ, ნება მომეცით მე მივუთითო, რომ ასეთი გამოსვლით თქვენ, ამხ. ნიკო, ძირს უთხრით ამ მთლიანობას, ვინაიდან რა უნდა სთქვას იმ კომუნისტმა, რომელიც პატივს სცემს თავის თავს? ის იტყვის.

— არა, უკაცრავად, ყველა იმ მთავარ საკითხებში, რომელთა გამო მწვავე კრივი სწარმოებდა საქართველოს პარტიაში, როგორც სჩანს ორიოდ წლის შემდეგ, ისტორიამ, ცხოვრებამ გაგვამართლა ჩვენ და ამ დროს ჩვენ გვჯერძნ. რომელი კომუნისტი, რომელიც პატივს სცემს თავის თავს, იტყვის, რომ უნდა დაემორჩილოს ასეთ რეჟიმს? არა. ის იტყვის: წყეულიც იყოს ასეთი რეჟიმი.

მთლიანობა კიდევ უფრო უნდა გავამაგროთ

მე ყველაზე ნაკლებ მსურდა შევხებოდა ამ საკითხებს, მე მინდოდა მელაპარაკა იმ ხაზის მიხედვით, რომლითაც ლაპარაკობდა ამხ. მახარაძე, რომელსაც ამხანაგები ასე გულთბილათ შეხვდნენ. მე ვფიქრობ, რომ რაც ამხ. მახარაძემ განაცხადა აქ და მეორე ადგილს უფრო ნათლად განაცხადა ეს, ის მიიღებს ყველა ზომებს იმისათვის, რომ ჩვენი, საქართველოს პარტია იყოს მთლიანი, რომ ეს მთლიანობა განმტკიცებული იქნეს, რაც შეიძლება მეტად.

საკითხს სერიოზულად უნდა მიუდგოთ.

ნიკო კიკნაძე ამბობდა, რომ წვრილ-ბურჟუაზიული გადახრა გამოგონებულია.

ის ეკითხება, კიდევ რა გადახრა გვაქვს ძირითადი მარაგში. ასე ხუმრობა არ შეიძლება. მეცამეტე პარტიულმა კონფერენციამ განაცხადა, რომ ოპოზიცია გამოხატავდა წვრილბურჟუაზიულ გადახრას.

შემდეგ ამხ. კიკნაძე ამბობს: თუ ერთ დაამტკიცოთ წვრილ-ბურჟუაზიული გადახრა, მაშინ ძალით სოციალური წარმოშობა ჩემი და სხვისი და დაამტკიცეთ მაშინ, თუ ვის უფრო იმოქმედა წვრილ-ბურჟუაზიულ გადახრამ. მაგრამ განა ეს სერიოზული მარქსისტული მსჯელობა არის? განა ჩვენი რკინისგზის სახელოსნოების საუკეთესო მუშები უკანასკნელ დრომდის მენშევიკების რიგებში არ იყვნენ? ანდა შეიძლება ამხ. ნიკო კიკნაძე იტყვის, რომ მენშევიკური პარტია არ იყო არსებითად წვრილ-ბურჟუაზიული კონტრ-რევოლუციონური პარტია? არა, ამხ. ნიკო, ასე უბრალოდ არ იჭრება სერიოზული საკითხი.

წარმატებით მუშაობის ერთად ერთი საწინდარი.

ჩვენი პარტია საქართველოში მხოლოდ მაშინ შესძლებს თავისი დანიშნულების სიმაღლეზე დადგომას, თუ მისი ძველი ბოლშევიკური კადრი ერთად იქნება რევოლუციონური ბოლშევიკური პოლიტიკის დაცვის სახელოვან პოსტზე. უმნიშვნელო გადახრა ამ პოლიტიკისაგან, უმნიშვნელო გაბზარვა მის რიგებში იმ წამსვე პოულობს ფართო გამოძახილს გარეშემო წვრილბურჟუაზიულ სტიქიაში. ამ ერთნახევარი, ორი წლის განმავლობაში ჩვენ არა ერთხელ ვყოფილვართ ასეთი გამოძახილის,—თუ მეტის არა,—მოწმენი. ჩვენი პარტიის მთლიანობა—ეს ჩვენი მუშაობის წარმატების ერთად ერთი საწინდარია.

სხვანაირად არც შეიძლებოდა.

ამხ. მახარაძის გამოსვლა ამტკიცებს იმას, რომ ის ამას გრძნობს. გამარჯვება მენშევიკებზე და სხვა ანტისაბჭოთა პარტიებზე, პარტიაში ახალი წევრების მიღების კამპანიის გატარება და ჩვენი თბილისის ორგანიზაციის მთელი მუშაობა ამტკიცებს იმას, რომ ჩვენი ორგანიზაცია ქვედა ფენებში ჯანსაღია, არ არის დაავადმყოფებული და საჭიროა, რომ მისი ზედა წრეები უფრო მტკიცედ შეკავშირდეს, რომ მათ გაასწორონ თავისი რიგები ჩვენი საუკეთესო ორგანიზაციის, თბილისის ორგანიზაციის მიხედვით.

მისწრაფება მთლიანობისაკენ ამ კონფერენციაზე განსაკუთრებით მხურვალედ გამოიხატა ამხ. მახარაძის სიტყვის დროს, როცა მან განაცხადა, რომ საჭიროა ბოლო მოეღოს ურთიერთშორის ბრძოლას და ყოველგვარ ჯგუფობრიობასო. კონფერენცია მახარაძის ამ განცხადებებს მხურვალე ტაშით შეხვდა.

ჩვენი მთლიანობის დემონსტრაცია.

მე ვფიქრობ, რომ ამხ. ფილიპეს ბრძოლა დაეწყო, კონფერენცია მას ასე არ შეხვდებოდა. მხურვალე ტაში იყო პასუხი ჩვენი პარტიის მთლიანობისაკენ მოწოდებაზე.

დღეს, ჩვენი კონფერენცია გახდეს ჩვენი პარტიის მთლიანობის დემონსტრაცია. დღეს, ჩვენმა სახელოვანმა თბილისის ორგანიზაციამ, რომელიც გამაგრდა და გაიზარდა, რომელმაც დაიპყრო მთლიანად მუშათა მასა, ამ მთლიანობის მაგალითი მისცეს და ამისაკენ მოუწოდოს მთელს პარტიას. (მხურვალე ტაში).

პროვინციაში

ვინ არიან დღეს მენშევიკების ორგანიზაციაში?

(წერილი დ. მარტვილიდან, სენაკის მაზრ.)

ა. წ. 12 აპრილს 10 საათზე ღამით დ. მარტვილში ადგილობრივი მთავრობის მიერ აღმოჩენილი იქნა ერთ მიყრუებულ ოჯახში, სახელდობრ მოქ. გრიგოლ გაბისონიას „მარანში“ მენშევიკების და მათი თანამოაზრე ახალ მარქსისტების ორგანიზაციის გაერთიანებული ფარული კრება, 9 კაცის შემადგენლობით. გაჩხრეკის დროს აღმოაჩნდათ წინა კრების (ა. წ. 23 მარტის) ოქმი, სია წევრების (ფარული სახელებით) და სახელმძღვანელო ინსტრუქცია.

საინტერესოა ვიცოდეთ, თუ ვინ არიან მარტვილში მენშევიკების ორგანიზაციაში. არც ერთი ხსენებული ორგანიზაციის წევრი არ ეკუთვნის როგორც პატიოსან მუშას—სოფლის მეურნეს, ისე გონებრივათ მოაზროვნე ინტელიგენტს, არამედ საზოგადოების ყველაზე უფრო აშლილ მავნე ნაწილს. ვინ გინდათ მინდ არ იყოს, გარდა პატიოსან მშრომელისა: 1) ძველი ნიკოლოზის ოფიცერი, 2) ქურდი, 3) სოფლის წურბელა—პარაზიტი და 4) აფერისტი, რომლებსაც არავითარი საერთო არ ჰქონებიათ არასოდეს მარტვილის მშრომელ გლეხობასთან, პირიქით, მარტვილის მშრომელ მასსას არა ერთხელ მიუმართავს ადგილობრივი მთავრობისათვის მათი ალაგმვის შესახებ.

ნათქვამი რომ უფრო ნათელი გახდეს, საჭიროა ზოგადათ გავეცნოთ მარტვილის მენშევიკების ორგანიზაციის შემადგენლობის ზოგიერთ პირებს: 1. გრიგოლ გაბისონია—(მენშევიკების ორგანიზატორი მარტვილში) იყო გასაბჭოებამდე ადგილობრივ საზოგადოების მიერ მიჩნეული ქურდათ და გამოჩენილი მატყუარა ყალბი მოწმობების და საბუთების დამზადებაში; ის დღესაც ირიცხება ქურდების სიაში. 2. ეკაკი გაბისონია (წევრი მენშევიკების მარტვილის ორგანიზაციისა): იყო გამოჩენილი [illegible] გასაბჭოებამდე და დღესაც არის შეჩხეული ქურდობაში, რის გამოც ირიცხება ქურდების სიაში; არის ყოვლად მოურიდებელი—მაზნარა და მასთან მეტისმეტი ზარმაცი და უსაქმი პიროვნება. 3. ბიქტორ ქეკეჰკორი (მარტვილის მენშევიკურ ორგანიზაციის წევრი): არის გაუსწორებელი ქურდბაცაცი, რომელიც მთავრობამ გასაბჭოების შემდეგ 1923 წ. დაატუსაღა ნაქურდალი შინაური ფრინველების გაყიდვის გამო დ. ზანდაში. 4. იოსებ ქადიშვილი (ინსტ. ორგან. მარტვილის რაიონში მენშევიკების ორგანიზაციის): ძველი ნიკოლოზის ოფიცერი, მენშევიკების დროს მსახურობდა დ. მარტვილში ადმინისტრატორად, თანამდებობას ეყენებდა ბოროტად, სცემდა და სდევნიდა მშრომელ გლეხობას, ბოლოს საქმე იქამდისაც მივიდა, რომ მენშევიკების მთავრობა იძულებული გახდა (ხალხის აღელვების გამო) სამი თვით ციხეში ჩაესვა. ხსენებული „რაინდი“ (ქადიშვილი) ბრძანდება დახელოვნებული სხვადასხვა თხზულების და ყალბი საბუთების შედგენაში და ამით მშრომელ გლეხობაში შეჰქონდა მღელვარება და ანარქია. ზე ძლიერ კიდევ ბევრი რამ გვეთქვა ხსენებულ და დანარჩენ პირებზე, მაგრამ მგონი ესეც კმარა მკითხველთათვის, რომ ვიქონიოთ წარმოდგენა, თუ ვინ არიან დღეს მენშევიკების ორგანიზაციაში. მენშევიკების ორგანიზაცია წარმოადგენს საზოგადოების ყველაზე უფრო მავნე ელემენტების და ნაძირალების ბრბოს. მარტვილის რაიონის მშრომელი მასსა კარგა ხანია დარწმუნებული იყო ამაში და ეს რწმენა ზედმიწევნით დაადასტურა უკანასკნელმა „აღმოჩენამ“.

ა. მანჩაძე.

გომის რაიონი (გორის მაზრა)

ა. წ. 22 აპრილს გომის სოფლის დარბაზში შესდგა უპარტიო გლეხთა სარაიონო კონფერენცია, თანადასწრებით გორის მაზრის პარტიული კომიტეტის წევრის ამხ. მ. მესროფოვისა, დელეგატების რიცხვი აღემატებოდა 230 კაცს.

პრეზიდიუმი შესდგებოდა 16 კაცისაგან. საპატიო თავმჯდომარეებათ იქნენ არჩეული შემდეგი ამხ. ამხ.: რიკოვი, ტროცკი, კალინინი, ცხაკაია ორახელაშვილი, კლარა ცეტკინი და ორჯონიკიძე, დღის წესრიგი:

1. საბჭოთა კავშირის შედეგები და ლენინი და გლეხობა.
2. რაიაღმასკომის საანგარიშო მოხსენება.

მოხსენებით გამოვიდა ამხ. მესროფოვი, რომელმაც გარკვევით დაახასიათა საბჭოთა კავშირის შედეგები და ლენინის შეხედულება გლეხობაზე. მომხსენებელმა აგრეთვე შეეხო ფულის რეფორმას და ტრანსპორტის მოწყობის საკითხს. კონფერენციამ მიზანშეწონილად სთვლის საბჭოთა ხელისუფლების ნაბიჯებს, რომლებიც მიმართულია არიან მუშების და გლეხების ინტერესების დაცვისაკენ, ზიზღს უცხადებს იმ ბურჟუაზიულ სახელმწიფოებს, რომლებიც მიზეზი ხდებიან საერთაშორისო მშვიდობიანობის დარღვევისა და ფიცს სდებს ერთგულად იდგენ საბჭოთა ხელისუფლების სადარაჯოზე.

გლეხობაში დიდ ინტერესს იწვევს სამეურნეო ტრანსპორტის და ფულის შესახებ.

რაიაღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ცხოვრებაშვილი მოახსენებს კონფერენციას რაიაღმასკომის მოქმედებას ხუთი თვის განმავლობაში. როგორც სამეურნეო, ისე საგანმანათლებლო დარგში გადადგმულია თვალსაჩინო ნაბიჯები, რასაც კმაყოფილებით აღნიშნავს კონფერენცია. გლეხობა მოუწოდებს რაიაღმასკომს, რომ მომავალში უფრო ფართოთ და ინტენსიურად განაგრძოს მუშაობა.

გლეხობამ წამოაყენა მოთხოვნილება სამეურნეო სკოლის აგების შესახებ.

მუშათა ცხოვრება

აღდგომა

ქრისტე მოკვდა, არ აღდგარა,
აღსდგა მხოლოდ მუშა ხალხი,
გონებიდან გადიყარა
ძველი რწმენის ბნელი თალხი!

—

უკუღმართი რელიგია
დასწყვა, წაღმა შეაბრუნა
და მსოფლიო ბოროტება
შეარყია, შეაძრწუნა!

—

დღეს ახდილი სინამდვილე
დაჰკრის, ქუხს, სჭექს, გრგვინავს, ღელავს,
ჩაგრულთ მტრებსა და ორგულებს
არყევს, არღვევს, სჭრის და სცელავს!

—

ზიზღი ყველა მატყუარა
ფარისეველ ნაძირალებს!
გაუმარჯოს, ვინც პირნათლად
შრომის დროშას აფრიალებს!!

მუშა გოგო ხეჩუაშვილი.

თბილისის ხაზინის მოსამსახურენი „აღდგომის“ უქმობის წინააღმდეგი არიან.

ა/წ 23 აპრილს, თბილისის ხაზინაში შესდგა სასწრაფო კრება, რომელზედაც დასმული იყო საკითხი იუქმონ თუ არა მომავალი „აღდგომა“. კრებამ მცირე კამათის შემდეგ ხმის უმრავლესობით დაადგინა—არ იუქმონ აღდგომა, იმუშაონ კვირას, 27 და ორშაბათს 28 აპრილს. ამასთანავე აღძრულ იქნა შუამდგომლობა სათანადო ორგანოების წინაშე, რომ ხაზინის მოსამსახურეებს მიეცეს ნება „აღდგომის“ მაგიერ იუქმონ 1, 2, 3, 4 და 5 მაისი.

მუშკორი მხიდველი.

—

ცრუმორწმუნეობა და მასთან ბრძოლა

თუ ვისი გამოგონილია ყველა საეკლესიო დღესასწაულები და მასთან დაკავშირებული ის აურაცხელი ხარჯები, რომელიც მას თან დასდევს, ეს ჩვენ ყველამ კარგად ვიცით; მაგალითად, რა შუაშია იმ ახალგაზრდა ბზის და ტირიფების ისე განიავ ურიგო, რომელსაც ქალაქის ქუჩებში სოფლის ჩარჩები ერთი-ორად ჰყიდდიენ წარსულ ბზობის კვირაში; თუ „შობის ხეს“ განადგურება მოელის უმოწყალო აჩეხვით, იგივე მოელის ბზის ხესაც და სხვებსაც. თუ რაიმე ზომები არ იქნა მიღებული შემდეგისათვის ასეთი განადგურების წინააღმდეგ.

ეს ერთი; ეხლა ავიღოთ მეორე მხარე—ხშირად წაიკითხავთ გაზეთებში, რომ ამა და ამ სოფელში საეკლესიო დღეობაა. მას დიდი ზარალი მოაქვს სოფლის ღარიბი გლეხობისათვის, საჭიროა ამ ჩვეულების მოსპობა, როგორც ეკონომიურად გამანადგურებელისა და სხვა ასეთი ლამაზი სიტყვები.

დღეობა მღვდლებს მიერ გამოგონილი ვითომცა ქრისტეს მკვდრეთით აღდგომა, როგორც „სასწაული“. სოფლის ძველ ჩვეულებას ამ შემთხვევაში ჩვენც მივხვდით, მუშებიც ვნადგურდებით ეკონომიურად და ვდგევართ იმ დონეზე, რაც თვითმპყრობელობამ გვიანდერძა.

ამისთვის მე მგონია საბჭოთა რესპუბლიკაში დროა ამ წინაპართა მიერ დატოვებულ ზნე ჩვეულებას პირველად ყოვლისა ჩვენ, მუშებმა, შევებრძოლოთ ჩვენი, კავშირების საშუალებით, მოვიწვიოთ კრებები ჩვენ კლუბებში, მოუწოდოთ მოწინავე ჩვენ ამხანაგებს, რომ მათ ბევრ ჩვენთაგანს, განსაკუთრებით ჩვენი ოჯახის წევრებს აუხსნან ის ცრუმორწმუნეობა, რასაც ეხლა აქვს ადგილი.

ამის ინიციატივობა უნდა იღვას თავზე მბეჭდავთა კავშირის ახალგაზრდათა კომკავშირმა და თვით კავშირის გამგეობამაც გაბედული ნაბიჯი გადადგას ამის ცხოვრებაში გასატარებლად.

მუშკორი უ. ჯაში.

—

როგორ ჩავატარეთ ლენინის დაბადების დღე

ა. წ. 23 აპრილს, შესდგა საზეიმო სხდომა თბილისის აღმასკომის კეთილმოწყობ განყოფილებასთან არსებულ 26 კომისრის სახელობის კლუბში ზემოხსენიებულ განყოფილების მუშა მოსამსახურეების, აღმასკომის, ტრანსპორტნიკების წითელ არმიელებთან ერთად, სადაც იქნა მოხსენიება გაკეთებული ქართულად რუსულად და სომხურად, ლენინის ცხოვრებიდან. ამ კრებაზე სიტყვა წარმოსთქვა ერთმა მუშამ უპარტიო მუშების სახელით და აღნიშნა, რომ უპარტიო მუშები ყველა ძალებს მოიკრებენ ლენინიზმის შესასწავლად და მის დატოვებულ ანდერძის ცხოვრებაში გასატარებლად. შემდეგში ერთხმათ იყო გამოტანილი შესაფერისი რეზოლუცია.

დასასრულ გაიმართა კომუნისტური ნათლობა 5 მუშების შვილების, რომელზედაც შეფობა ბილო კომუჯრედმა. მონათლულ ბავშვთა დედები ფიცს სდებენ, რომ ისინი თავის ბავშვებს გამოზრდიან ნამდვილ ლენინისტებად.

სულ ბოლოს წარმოდგენაც დავდგით და ინტერნაციონალის სიმღერით სიამოვნებით დავიშალენით.

ინფორმატ. მ—ჯან.

—

რატომ ხდება ასე?!

(მუშკოოპის საყურადღებოდ)

19 აპრილს, მუშკოოპის პურის საცხობის მუშებს დაურიგეს ჯამაგირი. ხვედრი ფული მუშებს მისცეს ვერცხლით და სხვადასხვა ფულის ნიშნებით, მაგალითად: ვერცხლის ფული 50 კაპ, რკინის გზის „სერტიფიკატი“, მუშკოოპის ბონები 2-დან 5 მანეთამდის და დანარჩენებს კი ამიერ-კავკასიის ბონები. მეც ამ მუშების რიცხვში ვითვლები და არც მე ამცდა ასეთი არეული ფულის ნიშნები. მომცეს მეც რკინის გზის „სერტიფიკატი“ 1 ცალი, მუშკოოპის ბონი, 50 ვერცხლის კაპ. და დანარჩენი—ამიერ კავკასიის ბონები, სულ მე მერგებოდა 11 მან და 50 კაპ. მათ შორის იყო 7 მან. ისეთი ფულის ნიშნებით, რომლის დახარჯვაც ძალიან გამიჭირდა და ბევრი დროც წამართვა. ეს ფული რომლის დახარჯვაც მე გამიჭირდა გახლავთ მუშკოოპის ბონი და რკინის გზის „სერტიფიკატი“, რომლებსაც ხშირად არავინ არ მომიკიდა. და არ სცნეს ფულად... მინდოდა მეყიდა ხორცი მეხორცემ არ მიიღო, დაღლილი ვიყავი, კონკით სახლში წასვლა მინდოდა და კონდუქტორმაც არ მიიღო და ასე ამგვარადვე ყველგან მივედი, მაგრამ ყველამ უარით გამომისტუმრა.

თუ ფულობს ასეთები ყველა ვალდებული უნდა იყოს, რომ მიიღოს და თუ არ ფულობს, რაღას გვერიგებს ჯამაგირების ანგარიშში მუშკოოპის გამგეობა

მუშკორი უზბიელი.

—

უხეში „რეგისტრატორშა“

(აღმასკომის საყურადღებოდ)

სამწუხარო ფაქტია ის გარემოება, რომ ჩვენს კიდევ არ შეუგნიათ, დაწესებულება არსებობს ხალხის თვის და არა პირიქით.

სწორეთ ასე უნდა ესმოდეს თავის დანიშნულება აღმასკომის საფინანსო განყოფილების კანცელარიის რეგისტრატორ-ქალს. უკანასკნელი კი მეტად უხეშად, მოურიდებლად და უკმეხად ეპყრობა მასთან საქმისთვის მოსულ ხალხს. აღმაშფოთებელი იყო აგრეთვე მისი „კაპრიზიანი“ და უკმეხი განცხადება, რომ ის განცხადებას 1 საათის შემდეგ არ იღებს. ეს მან განაცხადა 1 საათზე და 5 წუთზე. საჭიროა, ვიცოდეთ 1 საათზე დაწესებულების ჩვეულებრივ მუშაობის შეწყვეტა აღმასკომის განკარგულებამ თუ აღნიშნულ „ბარიშნის“ მორიგე „კაპრიზმა“.

საჭიროა აგრეთვე თავისი ადგილი მიუჩინონ თავხედ, თავის ადგილისთვის შეუფერებელ, კანცელარიის მოხელე ქალს.

მუშკორი მერ.

—

კულტ-კომისიის მუშაობა მე-3-ე სტამბაში

ხსენებულ სტამბაში კულტ-კომისიის მუშაობა ინტენსიურად მიმდინარეობს სხვა მრავალ კულტურულ მუშაობათა შორის. ერთი ფრიად მნიშვნელოვანი საკითხიც დადებითად გადაწყდა; ეს არის ადგილობრივ კედლის გაზეთის გამოშვება, რაც აუცილებლად შესანიშნავ როლს თამაშობს მუშების გათვითცნობიერების საქმეში.

ამ საქმეს მუშები გულდასმით ეპყრობიან და ცდილობენ საკუთარ გაზეთში გამოსთქვან ყველა ის, რაც მიაჩნიათ დადებითად და რაც უარყოფითად.

პირველი ნომერი გაზეთის უკვე გამოვიდა. გაზეთს სათაური ასეთი აქვს—„მბეჭდავის ძალა“.—გაზეთის შინაარსი შემდეგია: 1) ახალი ცხოვრება; 2) ჩვენი მიღწევილობა; 3) ადგილკომის და იაჩეიკის ცხოვრება; 4) ბრძოლა ლოთობასთან და სხვა.

ამ გაზეთის გამოშვებამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა კიდევ უფრო იმიტომ, რომ მან ცეცხლისებური ხალისი შეიტანა თვითეულ მუშას არსებაში და აღუძრა მას სურვილი სჯა ბაასის საკუთარ ცხოვრების ირგვლივ.—საკმარისია გადასინჯოთ პირველი ნომერი, რომ დარწმუნდეთ მუშების—სურვილების, ნებისყოფის და მისწრაფების სიძლიერეში.

მუშა გოგია.

—

მუშათა ქრონიკა

— უმუშევართა რიცხვი მცირდება. რკ. გზის ბირჟაში უკანასკნელ ხანებში მოთხოვნილებები სამუშაოზე უმუშევრებისა იზრდება და ამიტომ უმუშევართა რიცხვიც კლებულობს. მაგ. მარტში, სამუშაოზე გაგზავნილ იქნენ იმდენი უმუშევრები, რამდენიც იანვარ-თებერვალში ერთად.

— მანუფაქტურა „სპარტაკელთათვის“. ახლო მომავალში ლენინის სახელობის ბავშვთა აღმზრდელობის სახლი მიიღებს 500 არშინ მანუფაქტურას ბავშვებისათვის.

— პირველი რაიონის სპარტაკის გაზეთი პირველ მაისისთვის პირველი რაიონის სპარტაკი უშვებს მორიგ ნომერს თავის გაზეთისას განსაკუთრებული სამაისო შინაარსით.

— ახალი სახელი „სპარტაკის“ გაზეთის. პირველი რაიონის სპარტაკელებმა გადასწყვიტა თავის გაზეთს ნაცვლად „წითელი ვარსკვლავის“-სა უწოდოს „პატარა ლენინელი“.

კონფერენციის გადაწყვეტილებით სარაიონო სამუშაო სკოლის აშენება მოწყობა დაეკისრა: 1. გომის გლეხთა ურთიერთ დამხმარე საზოგადოებას, 2 გომის გლეხთა [illegible], 3. გომის სპირტის ქარხნის და 4 სარაიონო გლეხთა დამხმარე კომიტეტს. გლეხობის ენერგიული მონაწილეობით აღმასკომის თავმჯდომარეს დაევალა დაურიგოს გლეხთა ურთიერთ დამხმარე კომიტეტებს სათანადო ინსტრუქციები. გომის ხიდისა და ს. ბრეთის წყლის გაყვანა დაევალა თვით ადგილობრივ მცხოვრებ გლეხებს, რაიაღმასკომის ხელმძღვანელობით.

მ. ჭუჯაძე.

ქ. თელავი

თელავის ვაჭრუკანებს საღერღელი მოეშალათ. 15 აპრილიდან ფულის ერთ დონეზე დადგომამ მათ „გემრიელი“ ლუკმა გამოაცალათ პირიდგან წინათ არც კი კადრულობდენ ბონის მიღებას, ჩერვონეცს თხოულობდენ, ეხლა „დიოგენის ფარნითაც“ კი ეძებენ ბონებს, მაგრამ ბ. სპეკულიანტები მაინც არ იშლებიან. მათ საქონელს მოუმატეს ფასი ამჟამად ვაჭრებს არავითარი ნიხრი არ აკრიათ თელავის სამაზრო აღმასკომის განცხადება რომ ყველა მოვაჭრეს უნდა ჰქონდეს, თვალსაჩინო ადგილზე ნიხრი გამოკრული, მაგრამ აქაური ვაჭრები ჯერჯერობით ყურებსაც არ იბერტყავენ და ასეთი ქცევით ბაზარზე დიდი არევ-დარევა შეაქვთ. საჭიროა ადგილობრივმა ხელისუფლებამ დაჩქარებით გადადგას სათანადო ნაბიჯი და მაგრათ ამოდოს ლაგამი ჩარჩ ვაჭრებს, როგორც ეს თბილისში გატარდა.

ტანჯული მუშა.

სენაკის მაზრა

სენაკის მაზრის ერთ უმთავრეს ნაკლს გზების უქონლობა შეადგენდა. კერძოდ მაზრის მთა გორიან ადგილებში მდგომარეობა საშინელი იყო: ზოგიერთი რაიონები სრულიად მოწყვეტილი იყო მაზრის ამა თუ იმ დიდ პუნქტს, გლეხობას ვერ გაჰქონდა თავისი მოსავალ-საქონელი ბაზარზე და ის [illegible] მოხეტიალე ჩარჩებს. მდინარეებით მდიდარ მაზრაში ხიდები თითქმის არ იყო, რის გამო კაცი თუ ქალი, დიდი თუ პატარა ზამთრობითაც—კი ფეხით გადიოდა წყალში; უმეტესათ სავალალო პირობებში იყვნენ სკოლის მოწაფეები, რომელთაც უხდებოდათ ზამთრის სუსხიან დღეებში „აკაპიწებულ“ შარვალ-საცვლით გაყინული მდინარის დღეში ორჯერ იქით-აქეთ ფეხით გაფონვა.

ამ რამოდენიმე თვის წინათ მე მომიხდა თითქმის მთელი სენაკის მაზრის მოვლა და ჩემს განცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც ვნახე გზებისა და ხიდების გაყვანა გაკეთების მხრით მაზრაში წარმოებული მუშაობის შედეგები: მდინარე ტეხურზე, ჭანისწყალზე და აბაშაზე რამოდენიმე ადგილას გაუკეთებიათ მშვენიერი საურმე ხიდებიც კი; გაუყვანიათ სხვადასხვა მიმართულებით ახალი გზები, შეუკეთებიათ ძველი გზები იმდენათ და ისე, რომ დღეს იქ, სადაც წინათ ცხენით გავლა არ შეიძლებოდა, თავისუფლათ დაქრის ავტომობილი. ამ მიმართულებით მუშაობა მაზრის თითქმის ყველა კუთხეებში მიმდინარეობდა. ერთ ადგილას გლეხები ადგილობრივი რაიაღმასკომის თავმჯდომარის მეთაურობით თავიანთი ხარჯებით ქვებს აყრიდენ ჭკონბიან გზას, მეორე ადგილას სამაზრო აღმასკომიდან გამოგზავნილი ტექნიკის ხელმძღვანელობით გლეხობა აშენებდა მდინარეზე ხიდს, მესამე ადგილზე მთელი სოფელს ახლად გაშენებული სკოლისაკენ გაჰყავდა მშვენიერი გზა და სხვ. ამავე დროს უნდა აღინიშნოს ის სასიამოვნო სასურველი მოვლენა, რომ მთელი გლეხობა ამ მუშაობას აწარმოებდა ნებაყოფლობით და სრული შეგნებით, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე.

ყველასათვის ცხადია, რომ რომელიმე მაზრაში ასეთი სახით და ასეთი დიდი მასშტაბით სააღმშენებლო მუშაობის წარმოება შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც სამაზრო ცენტრალური აპარატი უძღვება თავის მოვალეობას მთელი ენერგიით, საქმის ცოდნით და მშრომელი გლეხობის სრული სიყვარულით. ამ მხრით სენაკის სამაზრო აღმასკომს დღეს უკავია მთელ რესპუბლიკაში თვალსაჩინო ადგილი; მას შეუმუშავებია საღი სააღმშენებლო გეგმა, ის შესისხლხორცებია მშრომელ გლეხობას. სათანადო სიმაღლეზე აუყვანია თავისი ავტორიტეტი და გაუმაგრებია მცხოვრებლებთან სრული ნდობის კავშირი. რა თქმა უნდა, რომ ასეთ პირობებში სამაზრო აღმასკომი შესძლებს სწავლა განათლების, კეთილმოწყობის, ჯანმრთელობის და ეკონომიური დარგის მხრით მაზრის სრულ აღდგენა გარდაქმნას.

მაზრაში ყოფნის დროს შემთხვევით დავესწარი ერთ ერთ რაიონის გლეხობასთან სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. მამულიას მიერ გამართულ საუბარს. გლეხობამ შესჩივლა მას, რომ მარილის, ფართლის და ნავთის საშინელი სიძვირით ისინი უკიდურეს პირობებში იმყოფებიან, რომ ადგილობრივ ჩარჩი ვაჭრები მათ ტყავს აძრობენ და სთხოვეს დახმარება. ასეთი საერთო სიძვირის დროს მე პირადათ გლეხების თხოვნის დაკმაყოფილება მეტის-მეტად მძიმე საკითხათ მიმაჩნდა და ამხ. მამულია ერთგვარ უხერხულ მდგომარეობაში მეგონა მივარდნილი. მიუხედავათ ამისა ამხ. მამულიამ რამოდენიმე წუთის შემდეგ გლეხობას მტკიცეთ განუცხადა, რომ ის ორი კვირის განმავლობაში დააკმაყოფილებს რაიონს ჯერ-ჯერობით მარილით და ნავთით, ხოლო ახლო მომავალში ფართლითაც. როგორც თბილისში ჩამოსულ გლეხებმა გადმომცეს, ამხ. მამულიას თავისი სიტყვა მართლა საქმეთ უქცევია: დაპირებულ დროის განმავლობაში რაიონში გაუხსნიათ კოოპერატივის განყოფილება, სადაც ბლომათ არის ნავთი და მარილი, ხოლო ფართალს მოკლე ხანში მიიღებენ. კოოპერატივი დღეს გლეხობას აძლევს ფუთ სიმინდში—8 გირ. ნავთს ან 20 გირ. მარილს, და ეს მაშინ, როდესაც ადგილობრივი ჩარჩები ფუთ სიმინდში იძლეოდენ 4 გირვ. ნავთს, ან 10 გირვ. მარილს.

სამაზრო აღმასკომის ხელმძღვანელის ასეთ მოქმედება-ნაბიჯს დიდი მნიშვნელობა აქვს: გლეხი ხედავს არსებული ხელისუფლების ნაყოფიერ მუშაობას, მისი ფსიხოლოგია, რომელიც ასეული წლობით შეჩვეული იყო ძველი მთავრობის მიერ მხოლოდ და მხოლოდ ცარიელ დაპირებებს, თანდათან იცვლება და მასში ადგილს იკავებს საბჭოთა ხელისუფლების სრული ნდობა, პატივისცემა და სიყვარული.

ბ.

ქ. ოზურგეთი

ყოველგვარ აღმშენებლობითი მუშაობაში ადგილობრივი მცხოვრებნი ცხოველ მონაწილეობას იღებენ. ისინი ამისათვის არ იშურებენ არც პირად შრომას, არც თავის წვლილს, არც მატერიალურ საშუალებას. ამის მაგალითები ბევრია. მიუხედავათ იმისა, რომ შრომისა და ტვირთ-ზიდვის ბეგარა არ არსებობს, არც ერთი სასოფლო გზა არ რჩება, რომელიც ახალ გეგმაზე არ კეთდებოდეს, თითქმის ყველა (40) თემი გვთხოვს ტექნიკოსებს გზების, ხიდების, არხების და დამშრობისათვის. ზოგს ვაკმაყოფილებთ, ზოგს უარს ვეუბნებით ასეთების სიმცირის გამო მაგრამ ამათ აღმშენებლობას მშრომელი გლეხობა არ აფერხებს და ხშირათ თვითონ თამაშობენ სეუცხოვო ტექნიკოსის როლს.

არა ნაკლებ როლს ასრულებენ აღმშენებლობის საქმეში ქალაქის მცხოვრებნი და განსაკუთრებით კი ოზურგეთის პროფკავშირები, ჩვენ გაზეთებში უკვე გამოქვეყნებული იყო ცნობა, რომ ოზურგეთში ვაშენებთ 100 ძალიან ელექტრო სადგურს. ხელშეკრულების ძალით ტრესტს ამ საქმისათვის ვაძლევთ 12 ათას მანეთს. ეს მეტად ხელსაყრელი პირობებია ჩვენთვის, ეს შეიძლება ითქვას, მაძალიან იაფია. მაგრამ გადახდა ამ თანხის, თუ გნებავთ პირველი ნაწილის 25 პროცენტი, რომელიც ჩვენ პირველ მაისს უნდა ჩავაბაროთ, ძნელი იყო, ვინაიდან ოზურგეთის მაზრა, როგორც არა ერთხელ აღნიშნულა ღარიბი მაზრაა, მას არავითარი საგრძნობი შემოსავლის წყარო არ აქვს, და ამ დროს, რა თქმა უნდა, ძნელია სადგურის აშენება და თუ გნებავთ იმ 3,000 მანეთის გადახდა, რომელიც ჩვენ უნდა გავანაღდოთ პირველ მაისს. ჩვენ მივმართეთ ქალაქის მცხოვრებთ და პროფკავშირებს გაეღოთ თავისუფალი სესხი მომავალ განათების ანგარიშში. და აქ ერთხელ კიდევ დამტკიცდა, რომ ადგილობრივი მცხოვრებლები მეტად დაინტერესებული არიან აღმშენებლობით და მტკიცეთ სწამთ წამოყენებული საქმის ბრწყინვალედ დაგვირგვინება. ამ მტკიცე რწმენით მოქალაქეებმა თავიანთ საზოგადო კრებაზე, იქვე, [illegible] იყო თუ შემდეგ სხვა შეღავთით, გაიღეს უკვე 1500 მანეთი სესხი, რაც ჩვენ გვგონია ორი ათასამდე ავა. ხოლო პროფკავშირებმა საზოგადო კრებაზე ჩვენს მოლოდინს გადააჭარბეს, მათ იქვე გაიღეს 1400 მანეთი სესხი, ერთი-მეორეს ასწრებდენ სიების შემოტანას, განსაკუთრებით მასწავლებლობა, რომელთაც, ჩვენ ვიცით, არც ჯამაგირი და არც პირობები შესაფერი არ აქვთ. ამნაირად, პირველ რიგში აუცილებელი თანხა ჩვენ უკვე გვაქვს და გეუბნებით ადგილობრივ მცხოვრებთ: თქვენ გაქვთ რკინის გზა, თქვენ გექნებათ 100 ძალიანი ელექტრო სადგური და კიდევ სხვა.

ის ინტერესი აღმშენებლობისადმი, რომელიც თქვენში იყო და არის, სრულ გარანტიას იძლევა, რომ ენ მალე შევსძლებთ ავაყვავოთ ეკონომიურად და კულტურულად ჩვენი ღარიბი კუთხე.

ვ. თავართქილაძე.

უპატრონო ბავშვთა სასარგებლოდ

უპატრონო ბავშვთა სასარგებლოდ რედაქციამ ივანე არტემის ძე ჯღელისაგან მიიღო ხუთი (5) მანეთი.

ჩვენი ფოსტა

გორის მაზრა, სოფ. ახალსოფელი.*)

ამხ. ახალსოფლელ გლეხებს. თქვენი წერილი და მთელი მასალა მივიღეთ. გადაეცა ვისაც საჭიროა და მიღებული იქნება სასწრაფო ზომები საქმის გამოსარკვევათ. პასუხს მიიღებთ.

„კომუნისტი“-ს რედაქცია.

---

*) გუშინ შეცდომით იყო მოთავსებული ახალსოფლის მაგიერ ხიდისთავი.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

არაპირდაპირ გადასახადთა შესახებ მოქმედ დადგენილებათა დარღვევის გამო

დასჯის წესები

10. აქციზდასადები საგნების წარმოებისა, შენახვისა და გაყიდვისათვის სათანადო პატენტის აუღებლად, ან ნაკლები ღირებულობისა ან და სხვისი პატენტით,—

დამნაშავეს, გარდა სათანადო პატენტის აღებისა, თუ ამის უფლება აქვს, წინააღმდეგ შემთხვევაში კი—პატენტის ღირებულობის გადახდისა, დაედება ჯარიმათ სათანადო წლიური პატენტის ძირითადი ღირებულება, პატენტის აღებამდე კი საწარმო დაიხურება.

11. ფაბრიკასა, ქარხანასა, სახელოსნოსა, საწყობსა და სავაჭროში აქციზდასადები საგნების შენახვისა, გამოშვებისა, გადაზიდვა-გადმოზიდვისა და სათანადო ანგარიშების წესის დარღვევისათვის (მაგ. დაწესებული დავთრების უწარმოებლობა; აქციზდასადები საგნების მიღებისა და გაცემის არა თავის დროზე ჩაწერა; აქციზდასადები საგნების მიღება ან გაცემა გადაზიდვის სათანადო სააქციზო დოკუმენტების უქონლად—იმ შემთხვევაში, როდესაც ეს საჭიროა კანონის მოთხოვნისამებრ; შეუნახველობა ამ დოკუმენტისა; არა თავის დროზე სპირტისა ქარხნიდან ქარხნის სარდაფში და თამბაქოს ნაკეთებისა—ფაბრიკიდან ფაბრიკის მაღაზიაში, დავთრების არა წესიერად ან დაუდევრად წარმოება, შეცდომებით, წაშლა-წამოშლით ან შესწორებით, სათანადო შენიშვნების აღუნიშვნელად; არაპირდაპირ გადასახადთა განყოფილებაში დავთრების ამონაწერების დროზე წარუდგენლობა და სხვ.),—

დამნაშავეს გადაჰხდება ჯარიმა ას ჩერვ. მანეთამდე.

12. აქციზდადებული საგნების წარმოებისა და შენახვის ადგილებში (ფაბრიკასა, ქარხანასა, სახელოსნოსა, საწყობში და სხვ.) ამა საგნებისათვის ბანდეროლის გადაკვრის წესის დარღვევისათვის,—

დამნაშავეს გადაჰხდება ჯარიმა ას ჩერ. მანეთამდე, თანაც არაწესიერად ბანდეროლ-გადაკრულ საგნებს ხელ-ახლად უნდა გადაეკრას ბანდეროლი მწარმოებლის ხარჯზე.

13. აქციზდასადები საგნების უბანდეროლოდ გამოშვებისათვის დამზადების ადგილიდან და ასეთი საგნების შენახვისა და ვაჭრობისათვის უბანდეროლოდ ან უკვე ნახმარი ბანდეროლით, აგრეთვე ისეთ საცავში და ბანდეროლის იმგვარად გადაკვრით, რომ შესაძლებელი იყოს ამ საგნების საცავიდან ამოღება ბანდეროლის უვნებლად,—

დამნაშავეს, გარდა აღმოჩენილ საგნების ჩამორთმევისა, გადაჰხდება ჯარიმა ორმოცდაათ ჩერვონეცის მანეთიდან ორას მანეთამდე.

14. აქციზდასადები საგნების აქციზის გადაუხდელად შენახვისა, გასაღებისა და გადაზიდვისა თუ გადატანისათვის,—დამნაშავეს, გარდა აღმოჩენილ უაქციზო საგნების ჩამორთმევისა, გადაჰხდება ჯარიმა ორას ჩერვონეცის მანეთამდე.

15. ქარხნის სარდაფსა, საბითუმო საწყობსა და ყოველგვარ სავაჭროში კანონით დაწესებულ სიმაგრეზე ნაკლების სიმაგრის არყისა, სპირტისა და კონიაკის შენახვისა ან გაყიდვისათვის,—

დამნაშავეს გადახდება ჯარიმად წლიური პატენტის ძირითადი ღირებულობა, და დაბალი ხარისხის სასმელების სიმაგრე გადიდებულ უნდა იქნეს კანონიერ სიმაგრემდე დამნაშავის ხარჯზე.

16. კანონით დაწესებულ სიმაგრეზე მეტი სიმაგრის თაფლას სასმელისა, კვასისა, ლუდისა და ხილეულობის წყლის დამზადებისათვის.

დამნაშავეს, გარდა დაწესებულ სიმაგრეზე მეტი სიმაგრის სასმელების ჩამორთმევისა, გადახდება ჯარიმა ას ჩერვონეცის მანეთამდე.

17. შიდა-გასასვლელის მოწყობისათვის აქციზდასადები საგნების დამმზადებელ ფაბრიკებსა, ქარხნებსა, სახელოსნოებსა და სავაჭრო ადგილებ შორის, აგრეთვე ამ საწარმოთა ცალკე ნაწილებ შორის ან და ამ საწარმოებთან არსებულ ბინებ შორის, როდესაც ეს კანონით აკრძალულია,—

დამნაშავეს გადაჰხდება ჯარიმა ორას ჩერვონეცის მანეთამდე, ხოლო საწარმოს მოქმედება შეჩერებულ იქნება, ვიდრე იგი სათანადოდ მოეწყობოდეს.

ასეთივე სასჯელი დაედება იმ პირსაც, რომელიც გამართავს საფუარის ქარხანას გამოსახდელი აპარატებით მომუშავე სპირტის გამწმენდი გამოსახდელ ქარხნისა და არყის სახდელ ქარხნის ეზოში.

18. მაგარი სასმელების შენახვისა და ვაჭრობისათვის ერთსა და იმავე სავაჭრო რამდენიმე ოთახში, ან და სავაჭროს პატრონის ბინაზე, რომელსაც აქვს შესასვლელი სავაჭროში, აგრეთვე ამ ბინაზე გარეშე პირთათვის მაგარი სასმელების დალევინებისა და სავაჭროსა და ბინის შემაერთებელი კარების ღიად დატოვებისათვის,—

დამნაშავეს გადაჰხდება ჯარიმა ას ჩერვონეცის მანეთამდე.

19. მაგარი სასმელების დალევინებისათვის ისეთ სავაჭროში, რომელსაც არა აქვს სამისო პატენტი—დამნაშავეს გადახდება ჯარიმა ას მანეთამდე.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასკომის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.
სრულ. საქარ. ცენტრ. აღმ. სრ. კომიტ.
მდივანი შ. საბაშვილი.
1924 წ. 23 აპრილი.
თბილისი—სასახლე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პროფესიონალური

განათლების მუშაკთა სახლში.

— სამშაბათს, 29 აპრილს, საღამოს რვის ნახევარზე ამხ. კარაბინოვის მოხსენება: „თვითმართველობის ცდა კომუნისტური აღზრდის სკოლაში“.

განათლების მუშაკთა სახლთან არსებული საექსკურსიო ბიურო აწყობს ექსკურსიას ბათომში პროფ. თვალჭრელიძის, შიშკინის, კონიაშვილის და როსტომბეკოვის ხელმძღვანელობით. ექსკურსია გაემგზავრება 29 აპრ. და დაბრუნდება თბილისში 4 მაისს, საღამოზე.

მსურველთა ჩაწერა სწარმოებს განათლების მუშაკთა სახლში ამხ. ნაკაშნისთან და პეტროშევსკისთან.

განცხადებები

სახელმწიფო ოპერა
დღეს, 26 აპრილს
წარმოდგენა პროფკავშირთა წევრთათვის
1057—4—4

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის
სახელმწიფო ბანკის
ამ.-კავ. საოლქო კანტორა
თბილისი, სოლოლაკის ქ. № 5.
მიმდინარე წლის 25 აპრილიდან
დაიწყო
სახელმწიფო საგლეხო 5%-ნი მომგებიანი სესხის 1 და 5 მან. ღირებულებ
ნამდვილი ობლიგაციების გაყიდვა
ობლიგაციაზე აღნიშნულ ნომინალურ ღირებულების ერთ მანეთ
85 კაპეიკა.
1—1 ნის. 1071.

საქართველოს სახელმწიფ
ვაჭრობა
ღვინის [illegible]
მიღებულია მაღალი ხარისხის იმერული და
ღვინოები.
ფასი ყველასათვის: ვედრო იმერულისა—4
ვედრო კახურისა — 5
[illegible]
მისამართი: ვაგზლის და ელისაბედის ქ. კუ
ნ. 1069

საყურადღებოთ: სასოფლო კოოპერატივებს,
ფირმებს და დაწესებულებებს
შეუძლიათ შეიძინონ: თეთრეული, ტა
მუშებისათვის
ლათ გლეხთათვის „სპეც ოდეჟდა“ და „პროზოდეჟდა“ ნისია
ხუთ თვის ვადით განუსაზღვრელ რაოდენობით.
ახალი ფასდაკლება
ტფილისი, რუსთაველის პრ. № 10 რუსთაველის თეატრ
ქუთაისში: აკოფოვის შესახვ. ყოფილი საკრედ. ბანკის
„სინდშვეიპრომ
პროფკავშირის წევრებზე ინდივიდუალური კრ
ნ. 1044

ანახმად მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრების დადგ
23 აპრილს ა. წ.
ელექტრონთა მომწესრიგებელ სამმართ
ათ აუწყებს, რომ მუშაობა „ემს“-ში 28 ა. წ. აპრილს
ჩვეულებრივი წესით. მხოლოდ
1, 2, 3 და 4 მაისს კი დაწესებულ
ბაში მუშაობა არ იწარმოებ
ვინაიდან ეს დღეები გამოცხადებულია უქმეებად
ელექტრონთა მომწესრიგებელი სამმართველოს
11 1072. გამგე აფხაზავა.

სახალხო განათლების კომისა
ცდებს თავისი ყველა ქვემდებარე დაწესებულებათა ს
ბო და სახელმძღვანელოთ, რომ თანახმად სახ. შრომის
რიატის დადგენილებისა № 13, 23 აპრილის თარი
28 აპრილი, რომელიც გამოცხადებული
სამუშაო დღეთ, ჩაითვალოს სამუშაო
დაწესებულებებში ამ დღეს მუშაობა
წარმოებდეს ჩვეულებრივ წესით
დასვენების განსაკუთრებულ დღეებათ გამოცხა
1, 2 და 3 მაისი.
2—ნ. 1070 განათლების კომისარ

სახელმწიფო უნივერსიტეტის
ზილის სნეულებათა კლინიკა
(მელიქიშვილის პროსპ. № 126).
ავადმყოფების მიღება სწარმოებს დილის 9—1 საათ. და საღ
4—6 მდე. 748 20

ექიმი
კ. გ. ვართანოვი
სიფილისი, კანისა და ვენერიული სნეულებანი. ავადმყო
ლობს დილის 9—10 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.
ბინა: სურამის ქ. № 9. ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკ
სამმართველოს მახლობლად. 746—25—

ელექტრონის და სინათლის
სამკურნალო
საწოლებით რენტგენი დარსონვალი
მიხეილ ბედევანიშვილის სახე
ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ
ექიმობას საჭიროებენ
სტაციონარი სწარმოებს ექ. სვიმონ უიფშიძის
ნელობა. ტფილისი, გუდიაშვილის ქ. № 20. 126—15

დაკარგა მეტრიკული ამონაწერი № 2101 პარმენ მელ
არჩუაძის სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულად

დაკარგა მოწმობები, მოცემული, სამხედრო კომისა
აღრიცხვის ბარათი, ფინანსთა კომისარიატ
ცემული მოწმობა, კავშირის წიგნაკი და შრომის ბირჟის
აგრეთვე 2 სურათი მიტა სუხიტაშვილის სახელზე ჩაითვალოს გაუ
1—

დაკარგა სახელ. უნივერ. მეტრიკული № 1185 შალვა
დრეს ძე კანდელაკის სახელობაზე ჩაითვალოს
ბულად 1—

დაკარგა ცენტრო-ტრამვაის პროფკავშირის წიგნაკი
და სამხედრო აღრიცხვო, სამხედრო ანკეტის ფურცელი
შალვა ტყეს ძე თოდრიას სახელზე. ჩაით. გაუქმებულად 1—

დაკარგა სახლის წიგნაკი 1923 წლის ნიკოლოზის ქ. №
ლის, ლევონ პეტროსის ძე კარაპეტიანის. სახელ
ჩაითვალოს გაუქმებულად. 877

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტამბა „შრომა“ [illegible]